

ქართული ენობის საქართველო

IX წ.

საქართველოში გაზეთი.

IX წ.

№ 15.

კვირა, 8 აპრილი 1901 წელსა.

№ 15.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—სამი შაური.

ხელას-მოწერა მაიღებ: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, და „კვალის“ რედაქციაში, საპიროს ქ., № 15.
ტელეფონი № 734.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „ЕВАЛИ“.


შინაარსი. მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.—შინაური მიმოხილვის მაგიერ.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—ბ. ფ. გოგიჩაიშვილი.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარგარეთ.—ცოლი და ქმარი, მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა.—ტომას გულიდან (სიმღერა მკერვალი ქალისა), ი. ვედოშვილისა.—ქართული ლიტერატურა მე-XIX საუკუნეში, ი. გომართელისა.—ტყვარჩელის ქვა-ნახშირი და მის მომავალზე სჯა-ბასი პეტერბურგში, (დასასრული) ს. კვიციანიძისა.—განცხადებები.

მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.

II. ნაციონალისტები.

3. შ ა რ ნ ე ლ ი.

მას შემდეგ, რაც ირლანდიას მოესპო საკუთარი პარლამენტი (1800 წ.) და ერთიანათ ინგლისს შეუკავშირდა, ირლანდიელთა არ შეუწყვეტიათ ბრძოლა გარეთ ინგლისის ბატონობასთან და შიგნით—მემამულეებთან (ლანდლორდებთან). მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქვეყანა მოწმე იყო ირლანდიის ძლიერი დემოკრატიულ-ნაციონალური მოძრაობისა. ამ მოძრაობამ ბევრი შესანიშნავი მოღვაწე წარმოშვა, ბევრი მოღვაწე შეიწირა და, იმედია, ბევრს კიდევ შეიწირავს. ირლანდიის ერთი უშესანიშნავესი მეთაური და მებრძოლი იყო პარნელი.



შ ა რ ნ ე ლ ი.

ჩარლზ პარნელი დაიბადა 1846 წ. ირლანდიის ვიკლავის საგრაფოში; სწავლა დაამთავრა კემბრიჯის უნივერსიტეტში და ჩაერთა

ირლანდიელთა მოძრაობაში. თუმცა ის ჩამომავლობით ინგლისელი იყო, მაგრამ ამას მისთვის არ დაუშლია გამოსულიყო ირლანდიის ენერგიულ დამცველათ და ინგლისთან საბრძოლველათ. ის მიემხრო ირლანდიის ახალ პარტიას, წოდებულს „**ქომრუელნი**“, რომელნიც თხოულობდნ ირლანდიისათვის საკუთარი პარლამენტის და ვრცელი პოლიტიკური თვით-მმართველობის მიცემას. პარნელი 1875 წ. არჩეულ იქნა ინგლისის პარლამენტის დეპუტატათ და წარადგინა წინადადება, რომლის ძალით ირლანდიის ფერმერთათვის უნდა გადავიღებულიყო მიწა-ადგილების შეყიდვა და მოსპობილიყო პროტესტანტთა ეკლესიის უპირატესობა კათოლიკურისაზე. პარლამენტმა ორივე ეს წინადადება უარჰყო და პარნელიც დაადგა ობსტრუქციას. ახლა იმან

სრულიად ჩასწრდილა ჰომიურული ზომიერი მეთაური ბუტი და სხ. და თვითონ შეიქმნა პარტიის წინამძღოლათ. მეორე მხრით, 1879 წ. მიხეილ დავითმა დააარსა „საადგილ მამულო ლიგა“, რომლის მიზანი იყო მემამულეთათვის მიწა-ადგილის ჩამორთმევა და გლეხებისათვის დარიგება. ლიგა იღვა უფრო ეკონომიურ ნიადაგზე და აი, 1880 წ. მას შეუერთდა პოლიტიკური პარტია—ჰომიურული ლიგის მეთაურობით. ირლანდიის პოლიტიკური და სოციალური განთავისუფლება—აი, რა დააწერა ამ შეერთებულმა პარტიამ თავის დროშაზე. მთავრობამ ენერგიული საშუალებები იხმარა მოძრაობის დასათრგუნადათ, მაგრამ მოძრაობა მაინც გაძლიერდა, გადიდდა და მთელი ირლანდია მოიცვა. „ლიგა“ შეიქმნა ირლანდიის მეორე მთავრობა, მის ბრძანებას ვერაფერ ვადავიდოდა. მაგ., ერთმა ფერმერმა, სახელათ ჯემს ბოიკტმა, გაჰბედა და უარი განაცხადა ლიგის წევრობაზე და მის სასარგებლოთ გადასახადის გადახდაზე. ლიგამ გამოაცხადა ის განრისხულათ საზოგადოებისაგან, მას არავინ ელაპარაკებოდა, ყოველნაირი დამოკიდებულება მასთან მოსპეს, მოსამსახურე და მუშები ირლანდიაში ვერ იშოვა და პოლიციის მფარველობით ინგლისიდან მოიყვანა. მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული შეიქმნა ფერმისათვის თავი დაენებებია და სამშობლოდან გასულიყო. ყველა ურჩთ სწორეთ ისე უმერებოდა „ლიგა“, როგორც ბოიკოტს უქმნეს. (აქედან წარმოსდგა სიტყვა **ბოიკოტა**, ბოიკოტაჟი). მთავრობამ გამოსცა კანონი ფერმერთა სასარგებლოთ, რითაც სურდა „ლიგის“ გავლენა შეესუსტებია. „ლიგამ“ გაჰკიცხა ეს კანონი და გამოაცხადა, მშვიდობა დამყარდება მხოლოდ მიწა-ადგილების მემამულეთაგან ჩამორთმევით. „ლიგამ“ მიმართა ფერმერთ, ნუ მისცემთ ბატონებს იჯარის ფულსო. მთელ ირლანდიაში გაისმა: არ მიეცეს იჯარაო! მაშინ მთავრობამ აკრძალა „ლიგა“ და მისი მეთაურები პარნელითურთ დაატყვევა (1881 წ. ოქტომბერი). ნოემბერში-კი გაუქმებულ „საადგილ-მამულო ლიგის“ ალაგას დააარსეს „ნაციონალური ლიგა“ და ამ სახით იგივე მოძრაობა ხელ-ახლა დაიწყო. პარნელი და მისი ამხანაგები გაამართლა ნაფიცთა სასამართლომ და განთავისუფლეს. პარნელი ხელ-ახლა შეუდგა ახალი ლიგის მეთაურობას.

აი, ამ „საზოგადოების“ წყობილება: ლიგას მართავს ცენტრალური რჩევა, რომელიც შესდგება 40 წევრისაგან; ამათში 32-ს ირჩევს ადგილობრივი კომიტეტების დელეგატთა კონგრესი, რომელიც იკრიბება ყოველ წელს; რჩევის დანარჩენ წევრთ ნიშნავს ირლანდიის პარლამენტალური პარტია. რჩევა ირჩევს გამგეობას, 5 წევრისაგან შემდგარს, ამათში ერთი (პარნელი) თავმჯდომარეა. ადგილობრივი კომიტეტი, რომელიც ყოველ სოფელსა და ქალაქშია, შესდგება 9 წევრისაგან, რომელთაც ირჩევენ ლიგის ადგილობრივი წევრები. გადასახადი „ლიგის“ სასარგებლოთ განაწილებულია წევრთა შორის შემოსავლის და-კვალათ. ის ვერ იქნება ერთ შილინგზე ნაკლები და ერთ სტერლინგზე მეტი წელიწადში. ადგილობრივი კომიტეტი გადასახადთა ერთ წილს თვითონ იტოვებს, ხოლო ორ წილს გზავნის რჩევის ხაზინადართან. ლიგის პროგრამაა „განხორციელება ისეთ პოლიტიკურ და სოციალურ რეფორმების, რომელიც მოსპობს ყოველნაირ ბატონობას და პოლიტიკურ თუ ეკონომიურ პატრონო-

ბას გადასცემს თვით ხალხს“. აი ამ შესანიშნავი ენერგიული ნიშანის მეთაურია პარნელი. პარნელი გამოაცხადეს ირლანდიის „უფვირგვინო მეფეთ“. და მართლაც, ის შეიქმნა ირლანდიაში ყოველად ძლიერი, მისი სიტყვით ირჩევდენ პარლამენტის დეპუტატთ, ახდენდენ ბოიკოტს, ამოძრავებდენ სოფლებს, ქალაქებს—ერთს სიტყვით, პარნელის ძალა უსახლეო იყო. ასეთ გარემოებაში გლადსტონმა გამოიცვალა თავისი აზრი და მიემხრო პარნელს. 1886 წ. მან პარლამენტს წარუდგინა კანონ-პროექტი, რომლის ძალით ირლანდიას უნდა მინიჭებოდა საკუთარი პარლამენტი და 500 მილიონ მანეთათ ხაზინას უნდა შეეყიდა დიდი მამულები და დაერიგებია გლეხთათვის. ამ პროექტმა დიდათ ააღელვა კონსერვატორები და მოიმაღლიერა ირლანდიელნი. 7 ივნისს იმავე წელს პარლამენტმა უარჰყო გლადსტონის პროექტი; გლადსტონმა დაშალა პარლამენტი და დანიშნა ახალი არჩევანი, საიდანაც გამარჯვებული გამოვიდენ კონსერვატორები. გლადსტონი გადადგა სამინისტროსაგან. ირლანდიის ლიგამ მაშინვე განაგრძო მოძრაობა. წევრთ მან დაავალა მიწის იჯარა გადაეხადათ არა მემამულეთათვის, არამედ ლიგისათვის. სოლიუსბირის სამინისტრომ მიიღო ენერგიული ზომები ამ ახალი მოძრაობის წინააღმდეგ. ირლანდიის ზოგ ალაგებში სამხედრო წესები შემოიღეს, ჩვეულებრივი კანონები გააუქმეს და ლიგის წევრთ დაუწყეს სასტიკი დევნა. მიუხედავათ ამისა იჯარის გადახდაზე უარს აცხადებდა ფერმერთა დიდი უმრავლესობა. მაშინ მთავრობამ აკრძალა თვით ლიგა. ხალხსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება, ირლანდიელნი შეუდგენ შეიარაღებას, მთავრობამ აკრძალა ირლანდიაში იარაღის შეტანა და ტარება. ერთი სიტყვით, კონსერვატიულმა სამინისტრომ გადასწყვიტა ძალით ჩაეჭრო ირლანდიელთა მოძრაობა, რომლის მეზაირალტრე პარნელი იყო. მაგრამ მოძრაობა თანდათან მაგრდებოდა და ღრმა ფესვებს იკეთებდა. და აი, ეს საქმე დიდათ აზარალა სრულიად კერძო ამბავმა. 1890 წ. პარნელს უჩივლა ერთმა ინგლისელმა: ჩემს ცოლს ჩუმათ ყვარობსო და სასამართლოში კიდევაც დაამტკიცა. ამ გარემოებამ პარნელს სახელი გაუტეხა და ირლანდიის მოძრაობის მეთაურობა ჩამოართვა. პარლამენტის ირლანდიელთა პარტიამ 53 ხმით, წინააღმდეგ 31 ხმისა, პარნელი გადააყენა მეთაურობისაგან და მის ალაგას აირჩია მაკ-კარტი. უმცირესობამ (პარნელისტები) მაინც არ უღალატა პარნელს. პარნელი არ შედრკა. ის წავიდა ირლანდიაში და შეეცადა სახალხო მიტინგებით ხელ-ახლა დაებრუნებია ნდობა, მაგრამ ირლანდიაში მას დახვდა ძლიერი პარტია მოწინააღმდეგეთა. ყველა ამ გარემოებამ მაზე ცუდათ იმოქმედა და 1891 წ. ოქტომბერში უეცრათ გარდაიცვალა. ირლანდიელებმა ეს „უფვირგვინო მეფე“ შესანიშნავათ დაასაფლავეს.

მინაური მიმოხილვის მაგიერ.

25 მარტს უმაღლესათ გამოცემულმა რესკრიპტმა ახალი სახალხო განათლების მინისტრის სახელზე დიდი იმედები აღძრა მთელ რუსეთში. რესკრიპტის შესანიშნავი სიტყვები—„უკანასკნელ წელთა გამოცდილებამ იმდენი **ნაკლუდეგანება** გვიჩვენა ჩვენი სამოსწავლო საქმისა, რომ მე საჭიროთ ვსცანი შევუდგეთ ამ საქმის **ძირათა-**



დათ განხილვასა და შესწორებას“ ან და „ვისურვებ, რომ დედ-მამანი და ოჯახნიც, რომელნიც ვალდებული არიან იზრუნონ შეილთათვის, დაგვეხმარენ“—აი ამ სიტყვებმა ღრმა თანაგრძნობა გამოიწვია რუსეთის საზოგადოების ყველა სფეროში. არ დარჩენილა არც ერთი გაზეთი, გარდა „მოსკოვის უწყებებისა“ რასაკვირველია, რომელსაც ეს რეფორმების პროგრამა აღფრთოვანებით არ მიეღოს. ჩვენ აქ მოვიყვანთ სახალხო განათლების სამინისტროს ორგანოს, „პეტერბურგსკი ვედომოსტი“-ს (№ 84) აზრს რესკრიპტის შესახებ, რაიცა თითქმის ყველა გაზეთმა გადაბეჭდა, როგორც თვით უმაღლესი სფერის შეხედულება ამ საგანზე.

„უმაღლეს რესკრიპტს მთელი რუსეთი ხვდება ღრმა ყურადღებით, აღვიღათ მისახვედრი მღელვარებით და ფართო იმედებით. თებერვლის და მარტის არეულობამ ყველგან შიში და მოუსვენარობა დათესა. საზოგადო აზრი მოუთმენლათ ელის მთავრობის ღონისძიებებს და სწყურია გაიგონოს ისეთი სიტყვა, რომელსაც შეეძლება გასწმინდოს ატმოსფერა, გაფანტოს მოუსვენრობა და სულით დაცემა. მძიმე იყო ეს ორი უკანასკნელი თვე. ვინც კი ღრმად და საფუძვლიანათ უკვირდება ახალი ცხოვრების ახალ მოვლენათ, ყველა დაინახავდა, რომ სახელმწიფოში ხდება რაღაც ძირითადი ცვლილება და მისთვის ახალი პატრიოტული (ამ სიტყვის მაღალი და წმინდა მნიშვნელობით) კალაპოტის შექმნა—ნიშნავს სახელმწიფოს სიბრძნის განხორციელებას და დროთა მოთხოვნილებების ცნობას. უმაღლესათ ბოძებული რესკრიპტი, რომელიც თავისი ფორმით და შინაარსით გაქვინთილია ახალი აზრებით, პირდაპირ და გადაჭრით იძლევა პასუხს სახალხო განათლების შესახებ. რესკრიპტი პირველათ აღიარებს, რომ ჩვენი განათლების წყობილება დაავათმყოფებულია „არსებითი ნაკლებივანებით“ და საჭიროა მისი ძირითადი განხილვა და განახლება. ამ სიტყვებში მდგომარეობს რესკრიპტის ისტორიული მნიშვნელობა.

„განათლების მინისტრის პროგრამა უკვე განისაზღვრა ამ სიტყვებით. არა დროებითი და ზერეღე ზომებით, არამედ ღრმა და ძირითადი განახლებით შეიძლება ჩვენი სწავლის საქმე მკვიდრ ნიადაგზე დამყარდეს. 1863, 1871 და 1874 წლებიდან, როცა მოხდა უნივერსიტეტის, გიმნაზიის და სახალხო სკოლის რეფორმა, აი, ამ დღიდან არ მიღებულა ზომები განათლების განსაკარგებლათ. განსვენებული ბოგოლოვოვის პროექტები და რეფორმები ზერეღეთ ენებოდენ მხოლოდ კლასიკურ სისტემას განათლებისას არსებული წყობილების დაურღვევლათ და ისეც წმინდა ბიუროკრატიულათ, რაიცა ფართო შედეგებს ვერ გამოიღებდა. ახლა უმაღლესათ თხოულობენ ისეთ ახალ შრომას, რომელმაც უნდა ერთიანათ გარდაქმნას მთელი შენობა, თანახმათ „დროთა მოთხოვნილებისა“. ეს მუშაობა უნდა მოხდეს ახალი გზით ძველი გზის სრულიად დატოვებით, როგორც ეს უმაღლესათ ნაბრძანებია.

„კითხვა მდგომარეობს არა მარტო ცრუ კლასიციზმში, რაიცა ახლა დამარბულათ ჩაითვლება, ან-და მარტო უნივერსიტეტის წესდებაში, არამედ მთელ სამოსწავლო წყობილებაში, დაწყებული სასოფლო სკოლით და გათავებული უმაღლესი სასწავლებლით. საჭიროა უშიშ-

რათ მოხდეს ნაყოფიერი დარღვევა ძველისა, ვინაიდან მხოლოდ პირდაპირ გზას, უკომპრომისოთ, შეუძლია მიგვიყვანოს სასურველ მიზნამდის. აღნიშნავთ აგრეთვე უმაღლესათ მოწოდებას მშობლების და ოჯახების მიმართ რეფორმების საქმეში დასახმარებლათ. სასიხარულოა მოსმენა ამ სიტყვებისა, რომელიც მოწმობს ნდობის გამოცხადებას საზოგადოებისადმი. და ჩვენ გვგონია, რომ ახალი მინისტრი ფართოთ ისარგებლებს ამ მოწოდებით და გაუადვილებს ოჯახს და საზოგადოებას სკოლასთან დაახლოვებას და მის ინტერესებზე ზრუნვას.

„როგორ შეიძლება ამის განხორციელება? ეს შეიძლება პირდაპირი მიპატიყებით მშობელთა და ოჯახთა სასწავლებელთა ძირითადი ცვლილების და განახლების საქმეში მონაწილეობის მისაღებათ. მშობელთ და ოჯახთ მხოლოდ ასეთი მონაწილეობით შეეძლება შესრულონ უმაღლესი მოწოდება და დაეხმარონ არა მარტო სკოლის საქმეს. რა ნაირათ უნდა მოხდეს ეს მიპატიყება? ამისათვის ბევრი საშუალებები არსებობენ: შეკრება სრულიად რუსეთის ოჯახთა და მშობელთა წარმომადგენლებისა, გამართვა მათი კრებების და რჩევების, განსჯა მათთან ერთად რეფორმების და რეფორმების პროექტების, შეკითხვა თავად-აზნაურობის, ერობის, ქალაქების და კერძო საზოგადოებების, თავისუფლათ ლაპარაკი მწერლობაში და სხ. და სხ. აი, ამით განხორციელდება უმაღლესი სურვილი საზოგადოების დახმარებისა. თავის თავთ საგულისხმოა ის, თუ რა სიხარულით და აღფრთოვანებით მიიღებს ამ მოწოდებას მთელი რუსეთი. საზოგადოების გულში ბევრი ცეცხლი ტრიალებს, ბევრი ორთქლი გუბს და ელის გარეთ გამოსვლას. სასწავლებელი ეხება ძვირფას ინტერესებს, როგორც საზოგადოს, ისე კერძოს. საზოგადოება თუმცა დაშორებული იყო სკოლის საქმეებისაგან, მაგრამ ნამდვილათ-კი მაინც იმით სულდგმულობდა. და როცა ყველა ამას გამოსავალი მიეცემა, როცა ხმა ოჯახისა და მშობლების თავისუფლათ გაისმის, მაშინ განათლების სამინისტრო მიიღებს ძვირფას და მდიდარ მასალას განათლების „ძირითდათ განხილვის და შესწორებისათვის“.

„25 მარტის უმაღლესი რესკრიპტი შესანიშნავი აქტია. ის აშკარა ხაზს ავლებს წარსულ და მომავალ სწავლა-განათლების შუა. მის განხორციელებასთან შეკავშირებულია ჩვენი საზოგადოების ცხოვრება. ასეთ მომენტებში მხოლოდ ერთობა იძლევა ძალას, ერთობაა თავდები კითხვის სწორათ გადაჭრისა“.

და აი, განათლების მინისტრი კიდევაც შეუდგა ამ რეფორმათა პლანის სისრულეში მოყვანას. ის 4 აპრილის ბრძანებაში ამბობს:

„უმაღლეს რესკრიპტში, რომლითაც მისმა უდიდებულესობამ 25-ს მარტს მომიწოდა მე ხსენებულს თანამდებობაზე, აღნიშნული იყო რამდენიმე სიტყვით ჩემის მომავლი მოღვაწეობის სრული პროგრამა, სახელდობრ: ძირითადი გადასინჯვა და შეცვლა ჩვენის სამოსწავლო წეს-წყობილებისა, განახლება და მოწყობა რუსეთის სკოლისა და მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში გონივრობისა და გულშემატკივარ მზრუნველობის შეტანა. მტკიცე და შეურყეველი აღსრულება ამ უმაღლესათ აღიარებულის პროგრამისა უნდა შეადგენდეს წმიდა მოვალეობას ყველა ჩემ ხელქვეით დაწესებულებათა; პირ-



ველი და უმთავრესი ნაწილი პროგრამისა—სამოსწავლო წეს-წყობილების რეფორმა, რის აღსრულებასაც უმაღლესის ნების თანახმად დაუყოვნებლივ შევედგებით, ყოველ შემთხვევაში მოითხოვს დროს: მეორე, არა ნაკლებ საყურადღებო ნაწილი—მოზარდ თაობის აღზრდის საქმეში განიერებისა და გულ-შემატკივარ მზრუნველობის შეტანა—ყოველთვის შეადგენდა უმთავრესს საგანს მასწავლებელთა და აღმზრდელთა; ამიერიდან ეს უნდა შეიქნეს უპირველეს და უდიდეს საგნათ მათის მოღვაწეობისა. მე იმედი მაქვს, რომ ჩემი მახლობელი თანამშრომლები და სამინისტროს ყველა მოხელენი სრულ დახმარებას გამიწვევენ მინდობილ საქმეში და ამიტომ ვიწვევ მათ დაუღალავათ იზრდონ ჩემთან ერთად უმაღლესის პროგრამის აღსრულებისათვის. მე ვიწვევ მასწავლებელთ დაუახლოვდნენ მოზარდ თაობას და ეცადენ სწავლების გარდა აღზარდონ მოსწავლენი სიყვარულითა და გულითადი ურთიერთობის დამყარებით; მე ვიწვევ აგრეთვე მშობლებს ოჯახში წესიერის აღზრდით დამეხმარონ ამ დიდ საქმის ასრულებაში; მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ აღზრდის საფუძველი ოჯახშია და მოზარდ თაობის მდგომარეობის გაუმჯობესება დამოკიდებულია ოჯახისა და სკოლის კავშირზე; მოუწოდებს აგრეთვე მოსწავლეთ ნდობით მოეპყრან მთავრობის ზომებს და იქონიონ რწმენა, რომ მათთვის დაუღალავად ზრუნავენ; ახსოვდეთ და ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, მშვიდობიანად განაგრძონ მეცნიერების შესწავლა და ამით მოგვცენ სახსარი, დრო და ძალა მოვანხაროთ სკოლის გაწესრიგებას“ და სხ.

სხვა-და-სხვა ამბები.

ამ ჟამათ ქიათურის მარგანეცის მრეწველნი, უმეტესად წვრილი მწარმოებელნი, კრიზისის გამო ძალიან შეწყუბუნდნენ არიან. მარგანეცის გაზიდვამ შესამჩნევად იკლო.

ოზურგეთის ქალაქის თავათ დაინიშნა ადგილობრივი ვაჭარი ცეცხლადე, ხოლო მის თანამშრომელთ ივგარ ქელიძე.

ქუთაისის გუბერნიის მმართველის განკარგულების გამო ოზურგეთის ქალაქის რწმუნებულებმა ყველამ თავი დაანება თვის თანამდებობას და საჩივარი გაგზავნეს უმართებელეს სენატში. რამდენიმე პირთა თაოსნობით აქ არსდება ოზურგეთელ მოვაჭრეთა ამხანაგობა—სინდიკატი.

იანვრის განმავლობაში ბათუმის ნავთ-სადგურიდან გაუზიდნიათ საზღვარ გარეთ სიმინდი—127 ათასი ფუთი, გარეცხილი მატყლი—10 ათასი ფუთი; ნავთი და სხვა და სხვა ზეთი ნავთისა—5.468,000 ფუთი.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი დანიშნულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს წევრათ.

მთავრობას აზრათ აქვს გააუქმოს მისაღები საკონკურსო ეგზამენები უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში და მის მაგიერ ახლად შემსვლელნი მიიღონ საშუალო სასწავლებლების მიერ გაცემულ ატესტატების მიხედვით.

მთავრობას აზრათ აქვს რკინის გზის კონდუქტო-

რებს ზოგიერთ შემთხვევაში პოლიციელის უფლებანიშნად მიანიჭოს.

ერთი წელიწადია, რაც ბაქოს ოლქის სასამართლოსთან დაარსებულია ნაფიც ვეჯილთა თანამშრომლების ბიურო, რომლის აზრია უფასოთ დახმარება. ამ ერთი წლის ანგარიში გვიჩვენებს, რომ ბიუროს შეადგენდა 35 წევრი, რომელნიც მორიგეობდნენ წლის განმავლობაში 237 დღეს. საუბედუროთ, მორიგეობას სულ ყველა პირიანათ არ ეპყრობოდა. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ მორიგი წევრი სულ არ მოსულა დანიშნულ დღეს. რადგან ბიუროს სადგომი ძალიან დაშორებულია მუშათა ცენტრისაგან, ბალახანისაგან (ბაქოდან 15 ვერსის სიშორეზე) და რადგანაც ამის გამო მუშებს არ შეუძლიათ ისარგებლონ იურიდიული დახმარებით, ბიურომ გადაწყვიტა გახსნას განყოფილება ბალახანაში. მაგრამ მათ შეძლება არ ჰქონდათ შენობის საქირავებლათ, ამიტომ მიმართეს ნავთის მწარმოებელთა საბჭოს, რომელიც ვალდებულია იზრუნოს მუშების ბედ-იღბალზე. ხოლო საბჭომ არ დააკმაყოფილა ბიუროს თხოვნა და ამ ნაირათ კეთილი მიზანი ვერ განხორციელდა.

თფილისის ხაზინას მოსვლია განკარგულება, რომ აღარ გასცეს ხაზინიდან ვერცხლის ხუთ-შაურიანი, რადგანაც განზრახვა ამ ფულის ხმარება მოსპონ სრულიად მოკლე ხანში.

ამ ბოლო დროს თფილისის ქუჩებზე ყოველ ნაბიჯზე შეხვდება კაცი რუსეთის შიდა გუბერნიიდან ჩამოსულ გლეხებს. ესენი მიდიან ყარსის ოლქში, სადაც აპირებენ დასახლებას.

ოთხშაბათს, ოთხ აპრილს, სათავადაზნაურო თეატრში ქ-ნ ჩხეიძისა და ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოადგინეს დრამა „კინი“. ვლ. მესხიშვილი საუცხოვო იყო კინის როლში. ქ-ნი ჩხეიძის ნიქის ფრთის გასაშლელათ როლი მეტად პატარა და უშინაარსო იყო, მიუხედავად ამისა, იგი მაინც, როგორც ყოველთვის, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. დავატკობ აგრეთვე ბ-ნ გედევანიშვილის ხელოვნურმა თამაშობამ. შემოსავალი გადაიდვა ავჭალის სახალხო თეატრის სასარგებლოთ.

ახალ ქალაქის მხარაში კვლავ გაჩენილა გოტენტოტური ბალღინჯო, რის გამო მცხოვრებნი დიდს გაჭირვებაში ჩავარდნენ.

კ მ რ მ ს კ მ ნ დ მ ნ შ ი მ ბ ი .

საფ. სურება (გურია). ამ წლის 4 მარტს სურების ოკჯალასთან სკოლის დარბაზში მოხდა სურების შემსახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წევრთა წლიური კრება. კრებას დაესწრა კანონიერი რიცხვი წევრებისა და გაიხსნა მასწავ. სურ. რამიშვილის თავმჯდომარეობით. საბჭოს წევრმა ბლ. ნიკ. რამიშვილმა მახსენა კრებას 1900 წ. წლიური ანგარიში, რომლიდანაც სხანს: მთელი წლის განმავლობაში წვერი უფთიდა 101; მათგან საწვერა ფული შემოსულა 2323 მანეთი. სესხათ გაუტანიათ 3199 მან. სარგებელი მოუტია 398 მან. 36 კ. ხარჯი—135 მან. 75 კ. სათადარიგო თანხათ გადაიდვა 26 მან. 26 კ. წმინ-



და მოსკეტი წვერთა შორის გასწავილებული დარჩენილა 236 მან. 35 კ. (ამ რიცხვში შედის ის 13 მან. 50 კ. რომელიც აბრეშუმის თესლის გაყიდვით მოუგია ამხანაგობას) ხასისებო აქვს ბანკს 605 მანეთი.

აი მოკლე ახგარიში, რომელიც გავაწვინებ მ. ნ. რ.—მა. ის იყო კრება ამის დამტკიცების აზრით, რომ წვერმა მ. ნ. რ.—მა მოაგონა კრებას, რომ წინსულ წელს დადგენილი იყო აბრეშუმის თესლის მოტანაზე არ დახარჯულიყო ათი მანეთის მეტი; გამაგებინეთ, რისთვის დაიხარჯა ზედ-მეტი 6 მ. 50 კ.? ამის შესახებ გამგებამ ვერაფერი ვერ გამოთქვა გარკვეულათ, რადგან კრებას არ დასწრებია ბ. ირ. ი. რ.—შვილი. რომელსაც თავის განკარგულებით დაუხარჯავს ზედ-მეტი. კრებამ შემდეგი ოქმი დაადგინა: მოეთხოვოს ხასის ბ. ი. რ.—შვილს ზედ-მეტი მომხდარი ხარჯის შესახებ; ახგარიში მიღებულ და დამტკიცებულ ოქმს კრების მიერ. მისი თხოვნის თანხმად განთავსიყოფებულ ოქმს საბჭოს წევრი ბ. რ.—შვილი და მის ხელწევრთა აირჩიეს ტ. ტ.—ქ.

ამის შემდეგ ჩვენი ურადლება მიიქცია საბჭოს წევრის მის. რ.—შვილის განცხადებამ. ბ. ირ. რ.—მა მიხ. რამიშვილმა ფრად საურადლება გარემოება მოაგონა კრებას. აი რა. 1899 წელს ბანკის გამგეს ბ. ირ. რამიშვილს განცხადებით მიუმართავს კრებისთვის და უთხოვია, რომ ის განთავსიყოფებულ ოქმს ბანკის გამგეობისაგან, რადგან ამას საჭიროებს თვით ბანკის კეთილ-დღეობა; ამას აიძულებს მის ის გარემოება, რომ მის მდგომარეობას ხელს უშლის სამი ოჯახი და ამ სამი ოჯახის უფროსი წევრები კი საბჭოს წევრები არიან. ეს განცხადება 1899 წლის 16 ნოემბრის საზოგადო კრებას განსახილველათ მიუხდვია კომისიისთვის, მაგრამ კომისიას ტყუილათ უპასუხია და გამორკვევით კი ვერაფერი ვერ გამოურკვევია.

შემდეგ კრებას (19 იანვარის 1900 წ.) ეს განცხადება უურადლებოდ დაუტოვებია. ეს სწვენიან ბ. ირ. რ.—მა, რომელიც ერთი იმ სამთავანია, რომელიც ბ. ირ. რ.—მა განცხადებაში მოხსენიებული არიან. ის სამართლიანათ უსაყვედურებდა კრებას ამ განცხადების ასე უურადლებოთ დატოვებისთვის, და ამ განცხადების შემდეგ მისი საბჭოს წევრათ დარჩენა შეუძლებლათ მიიჩნია საქმის გამოურკვევლათ. კრების შემტკიცებამ სინანული გამოთქვა, რომ ეს განცხადება ასე ბურუსში დატოვებს და ამით შეურაცხველს როგორც თვით გამცხადებელი, ისე ის სამი კაცი. მიხეილ რ.—ლი კრებამ საბჭოს წევრობიდან არ განთავსიყოფა და თხოვა დარჩენილიყო.

მეორე საურადლება ამ კრებაზე მოხდა ის, რომ კრებამ გადადო სამასი მან. სადი აბრეშუმის თესლის შესაძენათ და წვერთა შორის გასწავილებულათ ან. რ.—მა კრებას ურჩია, რომ თესლი შეეძინა გურიის ამხანაგობა „შუამავლისაგან“, რომელიც იმ ფასათ დაუთმობს, როგორც თვით ამხანაგობას უდირს. თესლი ამ ამხანაგობას საზღვარ გარეთიდან აქვს ცნობილი ფორმისა, და სააბრეშუმო სადგურადგან შემოწმებულია. ამ აზრს მიემხრო ბ. ტ. ტ.—ქ, მაგრამ წინააღმდეგობა განაცხადეს ბ. ნ. რ.—მა და მ. ტ. ტ.—ქმ. ზირველმა თამამათ ბრძანა: ამხანაგობას, თუ გინდ საუკეთესო თესლი ჰქონდეს, ჩვენ მაინც ვერ ვენდობით; მეორემ დასძინა, რომ უცხო ქვეყნის თესლი ჩვენში ვერ ხეირობს. როცა ამ ზირების უკვლამ მოსახრება დაარდვიეს, მაშინ კი განაცხადეს, რომ მათ უკვე შიკვეთილი აქვთ თესლი თბილისში და მათს შესახებ კამათიც შეტია.

ამავე კრებას მოახსენა მ. კან. ტ.—ქმ გამგებრებული მდგომარეობა იურიების სტუდენტის ნ. რ.—ის და დასძინა: უკვლამ თქვენგანმა იცის, რა ღარიბი გლეხია ამ სტუდენტის მ-

მა, მაგრამ ის მაინც არათერს ზოგავს, რომ შეილება გამოზარდოს; ერთსაც ბათუმის საჯარო გიმნაზიაში ზრდის. ჩვენ ვაღივებულნი ვართ შემწვობა აღმოგუხინოთ. კრება ამ წინადადებას სიამოვნებით მიეგება და სახანგარიშო წლის მოსაკრებლან 50 მან. გადადო სტუდენტ ნ. რ.—ლისთვის გასაგზავნათ. დასასრულ არ შეგვიძლია დიდი საყვედური არ გამოგუცხადოთ სარევიზიო კომისიას, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში ერთხელაც არ განუხილავს ბანკის საქმეები. უკვლამ სება აქვს ის საქმე არ იკისროს, რასაც ვერ გაუძღვება, მაგრამ მისი ნება კი არავის არ აქვს რომ ხაიის საქმეს ზირნათლათ არ გაუძღვეს.

ამხანაგობის წევრი ანტონ რამიშვილი.

ს. შემოქმედი (ოზურგეთის მახრ). ვგონებ, შენდომათ არ ჩამოგვართმევენ, რომ ს. შემოქმედს უზირველესი ადგილი მივანიჭოთ გურიის სხვა დაბა-სოფლებთან შედარებით. ბუნების სიუხვითაც და სწავლა-განათლებითაც. ის მდებარეობს ოზურგეთის მახრში, ოთხი ვერსის მანძილზე თვითონ ქალაქიდან. აღმოჩნდებით მას აკრავს გურია-აჭარის მთები, რომელიც ბუნების სიმდიდრით არ ჩამოუვარდება სხვა ცნობილ სამადრო ადგილებს. უცხოელები წმინდა კომერციული მიზნით ხშირათ ხახულობენ შემოქმედის არე-მარეს, და მას ბრწინვალე მომავალს. უქადას. რასაკვირველია, შემოქმედების მაგივრათ რომ აქ ინგლისელები ან ბელგიელები ცხოვრობდენ, ახლა უკვლასთვის თვალ-საჩინო იქნებოდა, თუ რა სიმდიდრით შეზღუდული მხარე უზირათ ხელში, მაგრამ რა?—მატერიალური შეუძლებლობა. ეს საზოგადო მიზეზი ჩვენი ერის დაბრკოლებისა, ვის არ შეაფერხებს და შეაძლებინებს საწადელ მიზნის მიღწევას. ამიტომაც შემოქმედელი უფრო ადვილ ხერხებს ეძებს, რომ სიღარიბისაგან განთავსიყოფდეს და ოჯახის მდგომარეობა წინ წაწიოს. აბრეშუმის კეთებამ და თხილის მოშენებამ სავმარისათ მიიქცია აქური მცხოვრებლების ურადლება. მეტადრე მას შემდეგ, რაც გურიის „შუამავლამ“ შესაფერი ფასი მიწოდდა სოფელე გლეხს გამსხადებულ ზარკებში, ძნელათ შეხედებით ისეთს მოსახლეს, რომელსაც 5—6 მისხალი აბრეშუმის თესლი არ ჰქონდეს საგზავნულათ გადადებული.

ესევე უნდა ითქვას შემოქმედის სწავლა-განათლებასზე. აქ ამ ვაშათ არსებობს ორი საზირველ და ორიც სამინისტრო სკოლა, შემხანველ-გამსესებელი ამხანაგობა და ერთიც უფასო წიგნთ-საცავი. სკოლები და შემხანველ-გამსესებელი ამხანაგობა შესაფერ ნიადაგზე დგას, ხოლო წიგნთ-საცავის შესახებ უნდა გამოგუტდეთ, რომ მან ამ ბოლო დრომდის ვერ გაიდგა შესაფერი ფესვები ხალხის გულში და რაც ხანი გადიოდა, მით უფრო უკან მსვლელობა ეტყობოდა. მიზეზი წიგნთ-საცავის ასეთი ბედისა, არ ვიცით რას მივაწეროთ, თვითონ გამგეთ, რომელნიც ფორმალურ მხარეს უფრო მიდედენ, ვინემ მინაგანს მის მდგომარეობას, თუ ბ. წევრებს, რომელნიც ზირველათ, წიგნთ-საცავის დაარსების დროს, ტაშის-ცემით მიეგებენ და შემდეგ-კი ურსაც არ იბერტყავდენ წიგნთ-საცავის წარმოტებისათვის*). ასე იყო თუ ისე, ჩვენი სამკითხველე უკანასკნელ მდგომარეობაში განხლათ და დღეს თუ ხვალ სრულებით გაქრებოდა რომ გულ-შემატკივართა შორის არ აღმოჩენილიყო ისეთი ზირი, რომელმაც სამკითხველე ახალ ზირებებში ჩააყენა. ეს კაცი

*) ამ ზირებიდან უნდა გამოირიცხოს ბ. ფ. მგელაძე, და მ. ს. ანდრეულაძე, რომელნიც 1897 წლამდის სათავეში უდგენ წიგნთ-საცავს და ძალ-ღონეს არ იზოგავდენ მის კეთილ-დღეობისათვის.



განსაკუთრებით მდგომარეობა დიდი მნიშვნელობის მქონე გულ-მოდგინეთ შეუდგა მის წარმატებისათვის ზრუნვას. მან ზირველათ დანიშნა კრება, რომელმაც ერთობ დიდი გავლენა მოახდინა მთელ მცხოვრებლებზე. ასეთი კრება დიდ ქალაქსაც ეკადრებოდა, არამც თუ უბრალო სოფელს. კრებას დედათა სქესიც დაესწრო და მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყველა თავმჯდომარის დასმულ კითხვების გარდაწყვეტაში (თავმჯდომარეობა და თვით მ. დიდიმადე). საზოგადოებას მ. დიდიმადემ აუხსნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამკითხველს და როგორ გულ-გრილათ ვეპურებით ჩვენ ამ ფრთხილ სასარგებლო საქმეს. მშვენიერი სიტყვით მიჰმართა მან იქვე მდგომ დაბალ ხალხს და აუხსნა მათ, რომ წერაკითხვის გავრცელება გააუმჯობესებს მათს მდგომარეობას და გაუკეთავს ცხოვრების გზას; ამისათვის, დაბოლოვდა მან, მუშა ხალხი უნდა იყოს მისი სულის ჩამდგმელი, უნდა ფაქრობდეს მის ავ-კარგანობაზე და თუ ახლავე წიგნთ-საცავს ხელი არ მიატოვებს, უკეთესი იქნება ის სამუდამოთ დაიხუროს. მამინეკ იქნა ახრეული საჩუქრით კომისიის, სამ-ზრუნველ კომიტეტი და აკეტებოც დანიშნა სხვა-და-სხვა ქალაქში, რომელთაც დაეკავათ წიგნთ-საცავის ნიუთიერ მდგომარეობაზე იზრუნონ. ჩაუყენეს რა სამკითხველს ახალ სამუდამო ზირებებში, კრება შემსახველ-გამსესებელი ამხანაგობის მქმედების განხილვას შეუდგა. რადგანც ის საფუძვლან ნიადგზე იდგა, ამისათვის სჯა-ბასი დიდხანს არ გაგრძელებულა. კრებამ ფეს-ადგომით მადლობა გარდაუხდა ზატოისან მადგაწეს და უსურვა, რომ მას ენერჯია არ მიატოვებოდა საზოგადო საქმეებზე ზრუნვაში.

tisci.

მ. ფ. გოგიჩაიშვილი.

მეცხოველიდან (გერმანია) სწერენ „ივერიას“: ამ დღეებში აქ გამოვიდა ფ. გოგიჩაიშვილის დისერტაცია ნემეცურ ენაზე „Die Georgische Hausgewerbe“ — „ოჯახური ხელოსნობა საქართველოში“, რომლისათვისაც ავტორს უნივერსიტეტმა მიანიჭა ფილოსოფიის დოქტორობის ხარისხი. გოგიჩაიშვილი ეს ერთი ხანია ამ შრომაზე მუშაობდა.

„დამთავრებული და დასრულებული შრომა ჩვეულებისამებრ პირველათ ლეიბციგის უნივერსიტეტის სახელმწიფო სამეცნიერო სემინარიის კრებას წარუდგინა განსახილველათ. ეს სამეცნიერო სემინარიის კრება შეხდგება სტუდენტებისაგან, რომლებიც პროფესორ ბაჟსეიას ხელმძღვანელობით გამოკვლევებსა სწერენ პოლიტიკურ ეკონომიისას და სამეცნიერო საგნებს არჩევენ. სამეცნიერო სემინარიის ერთმა წევრთაგანმა დისერტაციის შესახებ რეფერატი დასწერა და შემდეგ კრებაზე წევრთ წაუკითხა განარჩევით სემინარიის დირექტორ პროფესორ ბიუხერის თანადასწრებით. კრებაზე ზოგიერთა სადავო კითხვები ავტორმა დაიცვა. შემდეგ კრებამ საერთო ღირსათ სცნო წარედგინა ფაკულტეტის პროფესორ ბიუხერისათვის განსახილველათ. დისერტაცია საგანგებოთ იქმნა მოწონებული და მიიღო ნება ავტორმა თავისი შრომა ოფიციალურათ წარედგინა პროფესორთა კრებულისათვის დასამტკიცებლათ. ოფიციალურ განხილვის შემდეგ პროფესორთა კრებულმა მოიწონა და დისერტაციას დოქტორის ხარისხი მიანიჭეს. ფაკულტეტის პროფესორმა კ. ბიუხერმა უმაღლესი ნიშნით დააჯილდოვა, რაც

იშვიათ მოვლენას შეადგენს ბიუხერის ცხოვრებაში. დისერტაციის დოქტორის ხარისხით დამტკიცების შემდეგ ავტორი სიტყვიერ ეგზამენზე გაიწვიეს გამოსაცდელათ. სამი საგნის ეგზამენი გადაიხდა: 1) პოლიტიკურ ეკონომიისა, თეორიულ და პრაქტიკულისა. ამავე საგანში შედის ფინანსიური მეცნიერებაც; 2) სტატისტიკისა და 3) საზოგადო უფლებებისა. სიტყვიერი ეგზამენი საუცხოვოთ იქმნა გარდახდილი და პირველ ორ საგანში უმაღლესი ნიშანი არგუნეს.

ამის შემდეგ ოფიციალურათ გამოცხადდა ჩვენს ახალგაზდა მეცნიერს დოქტორობის ხარისხით დაჯილდოვება. აი, რა მსჯავრი წარმოსთქვა პროფესორმა ბიუხერმა უნივერსიტეტის სახელმწიფო სამეცნიერო სემინარიის კრებაზე წევრთა წინაშე ჩვენ მომავალ მუშაკის შესახებ: „გარდა იმისა, რომ ბ-ნ დოქტორ გოგიჩაიშვილის შრომა კარგის სტილით არის დაწერილი და ფაქტები ერთს დედა აზრზე ხელოვნურათ არის ასხმული, ავტორს ბევრი ორიგინალი აზრი აქვს გატარებული მეცნიერთა საყურადღებოთ და საგულისხმოთ. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენმა სემინარიის წევრმა ასე სამაგალითო შრომა გვიჩვენა და საუცხოვოთ ჩავვაბარა სიტყვიერი ეგზამენი. ყველას გვმართებს მივულოცოთ ახალგაზდა მეცნიერს ერთგულ შრომისათვის მინიჭებული დოქტორობის ხარისხი“. კრებამ მიულოცა საერთოთ თავის მოძმეს ამის შემდეგ თვით პროფესორ ბიუხერმა იკისრა გოგიჩაიშვილის დისერტაციის გამოცემის საქმე, რომლის შუამდგომლობითაც ერთ სამეცნიერო ჟურნალს დამატებათ მიეცა დასაბეჭდათ, როგორც მეცნიერული შრომა, ჟურნალის ხელის-მომწერთა საყურადღებოთ, რომლებსაც შეადგენენ გერმანიის პროფესორნი. სამეცნიერო ჟურნალის გამომცემმა პროფესორმა ბ-ნ გოგიჩაიშვილის შრომა წიგნათ გამოსცა და წიგნის მარჯიხებს დაურთა გასაყიდათ“.

ამას ჩვენ მივუმატებთ შემდეგს: ფ. გოგიჩაიშვილმა აქ დაამთავრა თფილისის სასულიერო სემინარია და შემდეგ ცოტა ხნობით მსახურებდა ნიკ. ლოლობერიძესთან შავი-ქვის საქმეებში ბუჰალტრათ და უცხოეთის კორესპონდენტათ. 1897 წ. ბ. პ. უმიკაშვილის მეცადინეობით და ნ. ლოლობერიძის და სხვათა დახმარებით გოგიჩაიშვილი გაიგზავნა გერმანიაში სწავლის განსაგრძობათ. ის შევიდა ლეიბციგის უნივერსიტეტში და აი, წელს დაუმთავრებია საუკეთესო ხარისხით.

რუსეთის სხმპრება.

ლოფიანდიის გუბერნიისაში ფელიხის ქალაქის საზღვარს გადაწვევით ადგილობრივ სასწავლებელში ლიუტერან-სემეცებისათვის სამდგომ რჯულის სწავლება ნემეცურ ენაზე წარმოებდეს. — ოდესის გაზუთების სიტყვით, ოდესის ქალაქის უფროსს კრავო შევალოვს განსაკუთრებით ზომები მიუღია ამ დღესასწაულებში წესიერების დასაცვლათ. ყველა მოედნებზე და ხალხის თავშესაყარ ადგილებზე გაუმრავლებია ზოლიციელთა რიცხვი. კუდიაციის მინდორზე დაუწესებია ზოლიციის უმაღლეს მონაღეთა მონაღება. ქუჩებზე გაუძლიერებია ზოლიციის ზედა მხედველობა, ზოლიციის ნაწილებთან დაუყენებია უსახ-რუსები და დაურთებია ინსტრუქცია, თუ ვინ როგორ უნდა მოქმედებდეს უწესების დროს.



კატორინოსლავის გაზეთში დაბეჭდილია ადგილობრივი გუბერნატორის შემდეგი ბრძანება

რთაც ბახმუტის მაზრიდან იგზავნებოდა მუშები, რომელნიც დაჩვენ უსაქმოდ ფაბრიკებსა და საფადებში მუშაობის შემდგომის გამო, ცუდი განზრახვით სოფ. გორდოვკაში გააფრტყეს ხმა, თითქმის, სამხრეთ-რუსეთის ქვა-ნახშირის მწარმოებელ საზოგადოების მადარობიან იქნება შეჩერებული მუშაობა. ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ კავკასიის განცხადება, სადაც ამ ხმას უარყოფდა, 9 მარტს თავი მოიყარა მუშების გუნდმა, რიცხვით სამასამდე კარმა ხელისუფლების განცხადებასთან და მოითხოვა, რომ მიეცეს მუშებს უფასო ბილეთები სამშობლოში დასაბრუნებლად. ხელისუფლების ზედამხედველმა ტარანოვმა აუხსნა მუშებს, რომ მათი თხოვნა უკანონოა, მარა მანაც მიხანს ვერ მიადგინა. მუშათა მღელვარე გუნდში თანდათან ძლიერდებოდა უკმაყოფილება და სიტყვიდან საქმეზე გადადიოდა, ესროდნენ ქვეშ კანცელარიის სადგომს და ერთი ქვა ხელისუფლების ზედამხედველსაც მოარტყეს ბეჭში. ხელისუფლების სადგომიდან მუშების გუნდი გაემგზავრა სოფელში და გზაში დახვრია სამი დუქანი, ლუდხანა და ამოამტვრია ფანჯრები ზოგ სახლებსა და მღაზიებში. არეულობის დაწყებისთანავე მის შესახებდათ მოწვეულ იქმნა უახსებთა რაზმი, მაგრამ ხელისუფლების ზედამხედველის მხნეობის და მოსახრების შემწეობით არეულობა მოსზობილ იქმნა კავკასიაში მოსვლამდე ადგილობრივი საშუალებით. განსაკუთრებულმა გამოკვინახობამ და მხნეობამ, ბახმუტის მაზრის ბაქაულისა არა მარტო წინასწარ ზომების მიღებით დაწყებული არეულობის მოსაზობლად, არამედ მათ დროზედ შესახებდათაც, ჩემი გუბერნიის უგულაზე უფრო უჩნ მაზრაში, თავიდანვე მიიზერო ჩემი განსაკუთრებული ურადლება; ვსარგებლობ ესლანდელი შემთხვევით და ვუცხადებ ბ. შიშკოვს განსაკუთრებულ ჩემს მადლობას, რომელსაც ვუცხადებ აგრეთვე ხელისუფლების ზედამხედველს ტარანოვს.

სარკოვიდან იწერებინ რუსეთის გაზეთებში, რომ ადგილობრის დელსასწავლებლებში იქ აკრძალულია ჩვეულებრივი სახალხო გასართობები, ბალანსები და სკორწილები. უგულა იმ ზნით, რომელთაც თხოვნა შეუტანიათ ქალაქის გამკეობაში, რომ მიეცეთ გასართობების მოწოდების ნება, გამოეცხადა, რომ წელს არაფითარი სახალხო გასართობები არ იქნება გამართული. ამავსაგნის შესახებ იწერებინ სარატოვიდან: სახალხო გასართობები მოედნებზე სადღგომთა დელსასწავლებლების დროს აკრძალულია. უგულა ეზოს მცველებს დაევადათ იმორიგეონ სადამოს შვიდი საათიდან დღის შვიდ სათამდე.

კრონშტადტის უწყებაში დაბეჭდილია სამხედრო გუბერნატორის შემდეგი საფადებულთა ბრძანება: I. ყრილობები და კრებები ხალხისა ქუჩაზე, მოედანზე, ბაღებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, რომელთა მიზანი იქნება მოლაზარაკება და მოქმედება საზოგადო მშობილობისა და წესიერების დასაძლევათ, აკრძალულია. II. არეულობის დროს გარეშე ზნითა შეჯგუფება ზნითვე სტატიაში მოხსენებული ადგილების დაჭერა აკრძალულია. III. ზემოხსენებული ყრილობები და კრებები და აგრეთვე გარეშე ზნითიც, მიუხედავად მათი წოდების და მდგომარეობისა, ვადებულნი არიან ხელისუფლების ზნითვე მოთხოვნით დაიშლან. IV. ამ განკარგულების დამრღვევნი დასჯილ იქმნებიან აღმინისტრაციულ წესების ძალით, დატუსადებით სამთავროდ ან და ჯარით ხუთას მანეთამდე. V. ეს განკარგულება შუდის თავის ძალაში გამოცხადების დღიდანვე და სავადებულთათვის ქალაქისა, მისი მიდამოებისათვის და სავად-სადგურებისათვის.

სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგათ დაინიშნა სახეობილეთა მთავარ სამმართველოს უფროსი ტაინი სოვეტიკი მუქხანინოვი.

მთავრობა აცხადებს: I. გასულ იანვრის მეორე ხანვერიდან თითქმის უგულა უმადლეს სასწავლებლებში მოხდა სტუდენტების არეულობა, რამაც გამოიწვია სწავლის შეჩერება. სწავლის შეჩერებამ ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო საქმე, რომ მოსწავლეებს უნდა დაეკარგოს მთელი წელიწადი, ზოგიერთებმა კი, არსებულ წესების ძალით, სრულიად უნდა დახვრან თავი სასწავლებელს. ამგვარი შედეგი მეტათ შემავიწროებელი იქნება მოსწავლეთათვის. უმადლესის ბრძანებით მოწვეულმა საგანგებო კრებამ, შემდგომად სასწავლებელთა უწყების უფროსებისაგან, საერო განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით, გადაწყვიტა საქმის წესიერათ დაყენებისათვის შემდეგი დონის-ძიება მიიღოს: 1) აზრილის განმავლობაში უმადლეს სასწავლებლებში დაწყებულ იქმნას სწავლა ან და, ადგილობრივ სამოსწავლო მმართველობის ნება-რთვით, დაინიშნოს ეგზამენები; 2) თუ სწავლის დასრულებისა და ეგზამენების მოხდენისათვის საზოგადოებრივ დათხოვნის დრომდე ცოტა დრო დარჩა, სწავლა და ეგზამენები გაგრძელდეს საზოგადოებრივად, სანამ საჭირო იქნება; 3) ვინც ეგზამენზე არ გამოცხადდება, ან ვინც ეგზამენებს ვერ დაიტყრს, მათ სამოსწავლო მმართველობა უნდა მოექცეს თანხანათ არსებულის წესებისა უმადლეს სასწავლებლებში; 4) უმადლეს სასწავლებლებში წრულს მხოლოდ ნება-დართულ იქმნეს ამ თუ იმ ზნითისთვის შემოდგომაზე ეგზამენების გადატანა განსაკუთრებულ ზეტივ სადებ მიზეზთა გამო, თუ თვით მოითხოვონ და მათ თხოვნას სასწავლებლის სათანადო მთავრობა შეიწინაურებს. II. სენატმა განმარტა, რომ თუ გლეხის ცოლი თხოულობს ცალკე საცხოვრებელ ბილეთს, ეს თხოვნა უნდა გაარჩიოს საგლეხო დაწესებულებამ არსებითათ და კიდევ დააკმაყოფილოს, მიუხედავად ქმრის სურვილისა, თუ დამტკიცდა, რომ ქმარი ცოლს ცუდათ ეპურება ან და არ აძლევს მას საჩხის.

კიევის საზღვარს აღუძრავს მუამდგომლობა, რომ გამოიცეს უქმე დღეებში ვაჭრობის აკრძალვითი განიხი.

რუსეთის მრეწველობის და ვაჭრობის დამხმარე საზოგადოებაში მოხდა კრება იმის შესახებ, რომ მოეწიოს საკრედიტო ამხანაგობა ხელსახანათთვის. კრებამ, რომლის უმეტესობას შემადგენენ ხელსახები, ამოიჩინა რამდენიმე რწმუნებული, რომელთაც მიანდა მოკლე ხანში წარადგინონ ამხანაგობის წესდება დასამტკიცებლად სახელმწიფო ბანკის ზეტერბურგის კანტონში.

კურდიანდიის სამეურნეო საზოგადოებამ, იმ აზრით, რომ უზრუნველ ჰქონს კურდიანდიის გუბერნიის სოფლის მუშები სობურის დროს, გადასწყვიტა დაასროს განსაკუთრებული კასა, საიდანაც ხსენებულ მუშებს მიეცემათ მუდმივი ზენისა, რაკი სამოცი წლის შეიქნებიან. კასის ძირითად თანხას შეადგენს უოველ წლიური გადასახადი მუშის მოქირავეთა; გარდა ამისა თვით სამეურნეო საზოგადოებამ გადასდო თავისი თანხიდან ამ მიზნისათვის ორმოცი ათასი მანეთი. ამ კასის წესდება უკვე შეადგინეს და კიდევ წარედგინა სათანადო მთავრობას დასამტკიცებლად.

გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა მოაწიოს რკინის გზებზე საკომო-სანიტარული ზედამხედველობა მუშათა ამხანაგობათვის.

15 აპრილს მოსკოვში ხელისუფლებიკურ მუხეუმში გაიხსნება სამეურნეო კურსები ქალთათვის. 15 მაისიდან კურსები გადატანილ იქნება მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც მსმენელებს სექტემბრამდე ექნებათ ზრატკიული მუშაობა.



ს ა მ ლ ე ა რ გ ა რ ე თ.

ნგვლინი. ღანკაშირის ქვა-ნახშირის მადნებში მუშაობა აპრილის 19 მარტს 40 საათს მუშაობს, რომელნიც თხრობენ 8 საათის სამუშაო დღის შემოდგომას. გათიფვა გავლენას იქონიებს ფოლადის წარმოებაზედც შეტლანდიაში; მრავალმა დიდმა ქარხნებმა უკვე მუშაობა შეჩერა.

— ზარდაშენების კომისიამ შეიმუშავა მოხსენება მეფის ჯამაგირის დანიშვნის შესახებ. ეს ჯამაგირი მოხსენების ძალით, უდრის 470,000 თუმანს. ეს თუელი უნდა განაწილდეს ამ სახით: 1) მეფის კერძო ხარჯებისათვის—110,000 თუმანი, 2) მეფის სასახლის მოსამსახურეთათვის—125,800 თუმ., 3) მეფის სასახლის შესახსნათ—193,000 თუმ., 4) მეფის სასახლეთა ასაკობათ და შესაკეთებლათ—20,000 თუმ., 5) სვანებზე და საქველ-მოქმედო ხარჯებისათვის—20,000 თუმ., 6) სხვა-დასხვა ხარჯებისათვის—8,000 თუმ., ამას გარდა კომისიის დაუნიშნავს 20,000 თუმ. შემკვიდრე ზინისათვის, 10,000 თუმ.—მისი ცოდვისათვის, 18,000 თუმ. მეფის ქალებისათვის და 25,000 თუმ. განსვენებულ დედათქვის მოსამსახურეთათ ნამუროფთათვის. ამნაირათ მთელი სამეფო გვარეულობის შესახსნად განზრახულია 543,000 თუმ. ეს თუელი 67,000 თუმით აღემატება შარშანდელ სამეფო ხარჯებს. კომისიის ერთი წევრის დაბრუნების აზრით-კი სამეფო გვარეულობის შესახსნათ 415,000 თუმანიც საკმარისი იყო.

ს ა ვ რ ა ნ ვ მ ი თ ი. სსრუველია თუ არა მონაწილეობას იღებდეს მუშათა ზარტის წევრი ბურჟუაზიულ სამინისტროში? ამ კითხვამ ისევ თავი წამოჭედა სოციალისტთა ბანაკში მუშათა უკანასკნელ გათიფვების გამო საფრანგეთში. ფრანგი და მისი მომხრენი ამტკიცებენ, რომ მუშათა დემუტატის სოციალისტის მილიერანის უფროსმა ვალდეკ-რუსოს სამინისტროში სარკებლობა მოუტანა მუშებსა, ხოლო გუდი და მისი მომხრენი ისევ წინააღმდეგე აზრის არიან და ამ აზრის დასამტკიცებლათ უთითებენ უკანასკნელ გათიფვებზე, რომლებზედაც მილიერანის მინისტრობას, მათი აზრით, ხაკლები საკეთილო გავლენა უქონდა. მილიერანის მინისტრობის საქმე განხილულ იქნება მუშათა მომავალ კონგრესზე ღიობში. ბურჟუაზიული გაზეთები გახარებული არიან სოციალისტთა ასეთი უთანხმოებით და აგრეთვე იმით, რომ მუშათა ზარტის უმრავლესობას ზომიერ სოციალისტთა და მილიერანის მხარე უჭირავს. მათი აზრით საფრანგეთის სოციალისტთა სამი მეოთხედი ნაწილი რადიკალებს მიემხრენ. ხოლო მინისტრათ სამეფო ბარტუკი, ზირ-აქით, ამტკიცებს: მილიერანს არაფერში არ უდალატნია თავისი წინანდელი მიზნებისათვის და მის კაბინეტში მონაწილეობა დიდ საფრთხეს წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიურ წეს-წეობილებისთვის. ბარტუს სიტყვით, მილიერანი ყოველი დონისძიებით ცდილობს, რომ მუშათა სინდიკატები მწარმოებელთა დამღუპველ იარაღთ გადააქციოს. ჯერ-ჯერობით ის ფრთხილათ მოქმედებს და ცდილობს დაარწმუნოს მშობლები, რომ მუშათა სინდიკატების გავრცელება სსრუველთა სამუშაოებსა მუშათა და ზარტანთ შორის განხეთქილების მშვიდობიანათ მოსვლისათვის. ხამდვილათ-კი მილიერანს სინდიკატების გავრცელება იმ აზრით სურს, რომ მტკიცეთ შეაერთოს ყველა მუშები მწარმოებელთა დასამარცხებლათ. ასეთი შეერთების შემწეობით იხსნება გზა ეკონომიურ ცვლილებებს.

გაჭრების მინისტრმა მილიერანმა ორი დეკრეტი წარუდგინა რესპუბლიკის პრეზიდენტს მუშათა საბჭოს დაარსების შესახებ. ამავე აზრის კანონ-პროექტი შეიტანა სენატში სენატორმა ბე-

რანემ. ამ კანონ-პროექტში ნათქვამია: „მუშათა საბჭოების დაარსება ბედნიერი აზრია. ვაჭრობას და მიწად-მოქმედებას ყოველგვარი საშუალება აქვთ შეატყობინონ მთავრობას თავიანთი სურვილები. მხოლოდ შრომის არ აქვს არც ერთი ასეთი წესიერი და კანონიერი საშუალება და ორგანიზაცია. ყოველ შემთხვევაში ამ საქმის განხილვა-გადაწყვეტა უნდა მიენდოს ზარდაშენებს და არა აღმინისტრაციას“.

ზ ი რ მ ა ნ ი ა. 1-ლ ანრილიდან ძალაში შევიდა მთავრობის განკარგულება, რომლის ძალითაც ბერლინის ყველა მდაზიებში უნდა დაიდგას სკამები არა მარტო მუშტრებისათვის, არამედ ნოქრებისა და გამოდევნულ ქალებისათვისაც. ასეთ განკარგულებას, რაღა თქმა უნდა, მეტათ საკეთილო გავლენა ექნება ნოქრების ჯანმრთელობაზე, რომელნიც დღემდე იძულებული იყვნენ ყოველდღე მთელი 13—14 საათი იყვნენ მდგარიყვენ. დაზღვევის კასიების ცნობების მიხედვით, ავადმყოფობა ნოქრებს შორის უმეტეს ნაწილათ გამოწვეულია ამ სულეური ფეხზე დგომის ჩვეულებისაგან.

— შრომის კომისიის წინადადებით, რეისტრს წარუდგინა პროექტი, რომლის ძალითაც სსრუველში, რესტორანებში, ყავახანებში და ლუდხანებში დამის შრომა (სლამოს 10 საათიდან დღის 6 საათამდე) სრულიად აკრძალულია ვაყებისათვის არა უხეს 16 წლისა, და ქალებისათვის არა უხეს 18 წლისა, ხოლო ყველა დახარჩენ მოსამსახურეთ-კი უნდა მიეცეთ განუწყვეტელი თავისუფლება დღე-და-ღამეში 8 საათის განმავლობაში მანინ. სამ კვირაში თვითყოფილ მოსამსახურეს უნდა უქონდეს ერთი თავისუფალი დღე მანინ.

— გერმანიაში გამოცდილება ამკარათ გამოარჩევა, რომ 8 საათის სამუშაო დღე ყოველ მხრივ სსარკებლათ. ამ დღეებში იენის ობტიკურ ინსტიტუტის ზარტანმა პროფ. აბბე განუცხადა თავის მუშებს: შარშანდლიდან ჩემგან საცდელათ შემოდგობულმა 8 საათის სამუშაო დღემ წარმოებასაც-კი იმდენი სარკებლობა მოუტანა, რომ მე გადავწყვიტე სამუდამით ასეთი სამუშაო დღე დავივიტე. პროფ. აბბე მარტო ამით რადია შესანიშნავი. მას აქვს მთელ ქვეყანაზე სსრუველთა სსახლთა წიგნთ-საცავი. მუშები აქ ეს რამოდენიმე წელიწადია ისმენენ პროფესორთა ლექციებს, მონაწილეობას იღებენ საქარხნო წესების გამოცემაში, აქვთ საკუთარი საარჩევნო დწესებულებანი და სს.

ი ს ა ნ ი ა. მოძრაობა კლერიკალთა წინააღმდეგ ოდნავაც არ ცნრება ისპანიაში. კლერიკალთა საწინააღმდეგო დრმა „ელექტრა“ მეოთხეჯერ გამოცემა 25,000 ცალი. 186 პროვინციელმა თეატრმა გადაწყვიტა ამ ზეისის დადგმა სტენაზე და იგი უკვე გადაითარგმნა პროტუკალიურ და იტალიურ ენებზე. მადრიდის თეატრში მას თითქმის ყოველ დღე ადგენენ და დარბაზი ყოველთვის ავსებულია ხალხით. წარმოდგენის შემდეგ საზოგადოება ყოველთვის თხრობობს ორკესტრისაგან „მარსელიზის“ და სსრუველიურთა ჰიმნის „პიერის“ დაკვრას. ახალი მინისტრები განაგრძობენ ბრძოლას კლერიკალიზმის წინააღმდეგ. თინანსთა მინისტრს განზრახვა აქვს გააუქმოს მრავალი ეპარქია. სახალხო განათლების მინისტრმა უპასუხა მის მომდურავ ეპისკოპოსთ, მე მტკიცეთვ ავტარებ ჩემ დემოკრატიულ განზრახვებს. ვაღიადოლიდში კათოლიკებს და მათ მოწინააღმდეგეთა შორის სსსტიკი შეტაკება მოხდა.

ა ო რ ტ უ შ ა ლ ი ა. კიდევ უარეს სურათს წარმოადგენს კლერიკალთა საწინააღმდეგო მოძრაობა პროტუკალიაში. ტარეს-ნავსიდან გარეკს ისპანელი მონაზონი ქალები. მინისტრთა საბჭომ დაადგინა დახურვის სამი ეკკლესია. ობორტში გაუქმდა



კონგრესების 7 რეზიზინცია. დაიხურა აგრეთვე თბილისში იესუიტების კოლეჯი. მრავალი იესუიტები და კონგრესაციის წევრები დაიძაფრნენ კერძო სასახლეებში. სეტუბანში საღბო თავს დაესხა ეკკლესიას, რომელიც ავსტრიული იყო მღვდლებით და ქვეტი დაუშინეს. მოხდა ცხარე შეტაკება, რომელშიაც უსაფრთხოების ჩვენი. შეტაკების დროს ერთი მოკლულ იქნა, ექვსი მძიმეთ დაიჭრა, მრავალი მსუბუქათ დაშავდა. დასაჯებულ იქნა, სხვათა შორის, უსაფრთხოების უფროსი.

სამრბია. როგორც იუწყებიან, სერბიის ახალი კონსტიტუცია გამოცხადდება, 6 ან 11 აპრილს. პარლამენტური პრინციპები უკვე არ, ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბანაკით გაყოფილა. რამდენიმე ზემოთი რადიკალი, ზამბიის მეთაურებით, ადრინდელი კვებების ახალ კონსტიტუციას, ხოლო რადიკალთა დიდი ნაწილი სსსტიკ წინააღმდეგობას აცხადებენ. ეს რადიკალები ამბობენ, რომ შეთვისგან ახალ კონსტიტუციის დაწესება უკანონოა და ეს საქმე სასაღბო კრებაზე უნდა გადაწყვიტოს.

ინგლის ტრანსპარალის ომი. თუ დეპუტატს დაუფრუტრებთ, ბოტას ისევ გადაუწყვეტია ზავის ჩამოგდებაზე მოლაპარაკება გამართოს, როგორც უკვლავ ბურთა ჯარების წარმომადგენლებმა. ამას წინათ, როცა მას დეპუტატს მოლაპარაკება ჰქონდა. გამორკვეულა მისთვის, რომ დეპუტატი წინააღმდეგია იარაღის დაყრის, მაგრამ ამასთან ბოტა თითქმის დაწმუნებულა, რომ დეპუტატი ზნეობრივად ავთომოფიია, ხოლო რადგან დეპუტატი იყო ერთათ-ერთი დაბრკლება ზავის ჩამოგდებას საქმეში, ამის გამო ბოტას სურს ხელახლავ დაიწოს მოლაპარაკება. თქვამენ, რომ თუ ბოტამ იარაღი დატყარა, დეპუტატი ვერაფერს გახდება, რადგან მისი ჯარი სულ უფრო კვებულა. ხსენებთ თფიციადურ ცნობების მიხედვით, ბოტამ ხელახლათ ინახულა კატხენი. ეს შესაძლებელ გვესმის ბოტა იარაღის დაყრას ამბობენ, მაგრამ საფიქრებელია, იმასაც შესაძლებელ გავიგანებთ, რომ ბოტა არ დაყრის იარაღს, მით უმეტეს, რომ მას ამ უამათაც ნაკლებათ უფლება თანამგრძობელი, რადგან, თუ დეპუტატი გამართლდა, ბურებს ტუვეთ წაუუგანათ ინგლისელთა სარდალი ფრენხი.

ჩინეთი. ჩინეთის საქმეების შესახებ ამ უკანასკნელ კვირში ბევრი არაფერი საუბრადებოა ამბობი მოუტანია დეპუტატს. ვალდებულა და მისი ბრძანების ქვეშ მოფონი განაკრძობენ უახლესების დეკანს და დაცვას. ამ დეპუტატი მაგ., კამბიტანი მეთსტერი დასდევნებია იმ უსაღბო ბრძანს, რომელიც 30 მარტს თავს დაესხა ტანხუ-უს, გაუფანტავს ისინი და 20 მათგანი-კი დაუსრცხია. უფრო ბევრს ამ ბოლო დროს დეპუტატი იმ სახლურის შესახებ ლაპარაკობენ, რომელიც ჩინეთს სახელმწიფოებს უნდა გადაუხადოს. როგორც ერთი დეპუტატი იუწყება, ამ სახლურის საზოგადო რაოდენობა 60 მილიონ თუმანს უნდა უდრდეს. ინგლისი თავის წილათ, როგორც ისმის, თხოულობს ექვს მილიონ თუმანს. ხოლო შეერთებული შტატები წინადადებას ასლუვენ, რომ სახლურის საზოგადო რაოდენობა არ აღემატოს 200 მილიონ დოლარს, და რომ ეს ფული თანასწორათ იქმნეს განაწილებული უკვლავ სახელმწიფოთა შორის. თუ სახელმწიფოები არ დაუთანხმენ ამ წინადადებას, ამერკა მიმართავს სამედიატორო სამართალს ჰაგში.

ცოლი და ქმარი

მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა.
(დასასრული. — იხ. № 13).

VIII

მომდის ესიკას ოჯახში ვახშამი აღარავის უჭამია. ანაი იწვა ლოგინზე და ხშირად გული უწუხდებოდა.

თინამ დაუწყო თავის ნივთებს ლაგება ფუთაში. „დედაბერი ხარ, ათასი წლისო და აქანაი აღარ მაყენებენ. სხვაი რაღაი, ჩემი გზაი უნდა მოვანახო. ვინმემ ქე დამაყენოს ვეგებაი დედაბერი“, — ლაპარაკობდა ის ნივთების ჩაღებების დროს. უკანასკნელი სიტყვა ესეთი მნიშვნელობით იყო თქმული, როგორც თექვსმეტი წლის ყმიწვილმა ქალმა თქვას თავის თავზე: „მე, დედაბერიო“. ესიკას სული ყელში მოებჯინა ჯავრით, თინას მზადება რომ დანიხა: „დევიქეცით, გაგვიბოყავს ოჯახს შუაზე!“ გაურბინა მას ფიქრებმა. მართალია, თინაი წინათაც ბევრჯელ მომზადებულა წაბლადის ოჯახიდან წასასვლელათ და, როცა შეხვეწნიან, ხელახლა დაბრუნებულა, მაგრამ წინეთ სულ პატარა რამეს აიმიზებებდა და ამიტომაც ადვილათ უღებოდა გული. ახლა-კი მეტათ შეურაცხყოფილი შეიქნა. თუმცალა იმედი არ ჰქონდა, მაგრამ ესიკამ მაინც შინჯა—იქნება მოუფლობო თინას გული და დავაბრუნო.

— ჩემო რძალო, ნუ იკადრებ ამას. ყაზილარმა რაცხა თქვა, რა შენი საკადრისია იმის გამოკიდება! ავი ოჯახი შენი აშენებულია და ნუ დაატყვევ დღეს, — უთხრა მან თინას.

— არა, ჩემო მამლო, ამ ოჯახში მოსაცადი პირი აღარ მაქ, დღეს მე ამ ოჯახიდან კვტარი ვარ. მე მაშინ ვიყავი კაი, თელი ოჯახი რომ თავზე მაწვა, ახლა ვილას უნდებვარ! შვილები დაგეზარდა, აგერ რძალი ქე შეიყვანე. მე აღარ გინდებვართ და გალახულს მაგდებთ, ავია! — უტრემლო ტირილით თქვა თინამ.

ესიკამ, თინასთან რომ ვერას გახდა, მობრუნდა და ცოლსა და შვილებს დაუწყო წყრომა. ერთ დროს ესიკას გაჯავრებაზე მთელი ოჯახი სულს გატრუნავდა, მაგრამ შემდეგ, როცა შვილები დაიზარდენ, ესიკა მოხუცდა და დან-და-თან დაჰკარგა გავლენა ოჯახზე, — იმის წყრომის მაინცა და მაინც აღარავის ეშინოდა.

— ჯანაბას მისი თავი! თუ პაწაი ტკილიათ ყოფნა გამოკადა ჩვენმა ოჯახმა მაშინ, იგი რომ მოგვმორდება, — ამბობდა ლევანტიეი.


— კი, მარა გამიბოყავს ოჯახს შუაზე — უთხრა გაჯავრებით ესიკამ.

— გამიბოყოს! არც მისი ქონება მინდა და არც მისი გველობა.

— ყოველ დღე შიშს, იგი ჯობს, ბარემ ერთ დღეს იქნას, რაც საქნელია — მიეხმარა ლევანტის და, ასმათი.

ესიკა უწყრებოდა უმცროს შვილებს, „ბრიყვები ხართ, ოჯახის გაყოფა რა არის, არ იცით და იმიტომ ამბობთ ამასო“, მაგრამ ლევანტიეი და ასმათი მაშინაც თავისას ამბობდენ. სამსონაი-კი იგრებდა წარბის ოდენა შავ-შავ უღვაშებს და ამბობდა: რავაც ნენაი წავა ამ ოჯახიდან, ჯერ ჩემს ცოლს მოვკლავ და მერე თავს მევიკლავო. ეს მუქარა ყველას აშინებდა, გარდა ლევანტიისა. ლევანტიეი-კი დარწმუნებული იყო, რომ „სამსონაი ვერც ცოლს მოკლავს და ვერც თავს მევიკლავსო“. და კიდევ ცხადათ ამბობდა ამას. ანას ერთი ორათ ემატებოდა ავთომყოფობა ამ ამბებით. მელანია-კი ეგდო ერთ მიზნელებულ კუთხეში საშინლათ დაზარაულის, ნაღვლიანი სახით და სიშით თრთლოდა, რადგანაც არ იცოდა თუ რით დაბოლოვდებოდა ყოველივე ეს.

დილას, გარდა ლევანტიისა, ყველა ცუდ გუნებაზე



ადგა. ესიკამ გადახედა სახლ-კარს და საქონელს და რომ წარმოიდგინა ყველა ეს შუაზეუნდა გამიყონო, ელდა ეცა გულზე. არა ნაკლებათ აღონებდა ეს გარემოება სამსონასა. მართალია, სამსონას, ოჯახის გაყოფის გარდა, გამზღელის მოშორებაც ძლიერ აწუხებდა, თუმცა-ლა არც გამზღელს და არც გაზღილს თავის დღეში არ ჰყვარებიათ ერთმანეთი იმ სიყვარულით, რომელსაც ეწოდებდა უანგარო სიყვარული. როგორც ვთქვით, თინა უშვილო იყო, ნახა რომ თავის მახლიშვილი, სამსონა, კარგი ბავშვიაო და შვილად დაუწყობდა. აღზრდის დროს იმას ორ საგანზე ჰქონდა ყურადღება მიქცეული: ერთი რომ თავი შეეყვარებია გაზღილისთვის და მეორე—ისე გაეზარდა სამსონაი, რომ ხალხს ეთქვა—რა სამაგალითო ქალია თინათინ, ჩვენ ქვეყანას სხვაი ქალი, მის გარდა, ვინ იზამდა, რაც იმან თავის შვილობელი გაზარდა და კაი ვაჟკაცი გამოიყვანაო. მისი ფიქრით, ახლა ორივე მიზანს მიღწეული იყო თინა. ერთი, რომ გლეხის პირობაზე სამსონაი კარგი ვაჟკაცი იყო და მეორე—თავის გამზღელი თინას გულისთვის, საქირო ყოფილიყო, ცეცხლში ჩაიწვებოდა. მართალია, აქ სიყვარული-კი არ ამოქმედებდა სამსონას, არამედ ის რწმენა, რომ გამზღელი გაზღილისაგან ყველაზე უფრო პატივსაცემიაო. „სა ვაჟკაციო მერე თვალი, ნენაი რომ სხოგან წვეიდეს სამყოფათ! ცოლმა რაჟა დაგიძაბუნა ასე, რომ გამზღელი მოგაცილოა, არ მეტყვიან! ქვეყანა ფუიო მეტყვის, თვალში ჩამათურთხებს!“ უტრიალებდა ფიქრებში სამსონას. და ამასთან კიდევ ოჯახის გაყოფა! განა იმით არ მოჰქონდათ თავი ეგრე ამაყათ, რომ კარგი სახლ-კარის პატრონი იყვენ! ოთახებიანი სახლი რომ დაიდგეს, მას შემდეგ მეზობელ გლეხკაცობაში, რომლებთაც, გარდა ერთი-ორისა, არ ჰქონდათ ასეთი სახლები, წაბლაძენი კეთილ-შობილად თვლიდენ თავს, თუმცა-ლა-კი ერთ დროს საზნაურო გლეხები იყვენ. ცოლს, სიმამრს და სიდერს იმით ამადლიდა სამსონა თავს, რომ მდიდარი იყო. ახლა კი, რაც რამ ებადათ, ყოველივეს ნახევარი თინას უნდა წაეღო. შეიძლებდენ-კი შენდეგ ხელ-ახლავ სახლ-კარის ეგრე კარგათ მოწყობას? „ვერა, ველარ შევიძლებთო“, ეუბნებოდენ ესიკა და მისი უფროსი ვაჟი თავის თავს. თუ ერთ დროს შეიძლეს, ეს იმიტომ, რომ ერთი ძმის ყოფა-ქონება ამათ დარჩათ და თან კიდე თინას მდიდარი მზითევიც დაემატა. მართალია, თინაი კარგა ბევრს ხარჯავდა კაბებში და მორთულობაში, მაგრამ, როგორც სოფლელი ქალი, იმდენს-კი თავის დღეში ვერ დახარჯავდა, რომ ეს ოჯახისთვის საგრძნობელი დასაკლისი ყოფილიყო. ახლა-კი თინაი წაიღებდა თავის მზითევისა და ქმრის წილსაც, რადგანაც ქმარმა თავის ყოფა-ქონება ცოლს უანდერძა. სანამ ესიკას ოჯახში იყო თინა, ოჯახს შეეძლო თინას ხვედრი ყოფა-ქონებით და მზითვით ისე ესარგებლა, როგორც თავის საკუთრებით. ამისთვის თინა, გარდა პატივცემისა ოჯახის მხრივ, სასყიდელს არ თხოულობდა. ახლა? ახლა, ვინ იცის, იქნება კიდევ ძველი ნახარჯის ანგარიში მოეთხოვა ესიკასაგან და მაშინ ხომ ბევრი აღარა დარჩებოდა-რა ესიკას იმ მდიდარი ოჯახიდან, რომლითაც ისე მოსწონდათ თავი.

ესიკა შევიდა საქმლის საკეთებელ სახლში. არ გასულა ორი წამი, რომ კარებზე მოადგა მარილისთვის ორი მსუქანი, ზორბა ხარი. ესიკამ აჭამა ხარებს მარილი

და თვალეში ცრემლებით ავესო: „ერთს ჩემი რძალი წვიყვანს“—გაუბრინა ფიქრში. იქვე, ხარების სიახლოვეს, იდგა რძით გავსებული ძუძუთი ხბოიანი ძროხა,—ეს თინას საკუთრება იყო. მეორე და მესამე მეწველი ძროხე-ბიდანაც თინას ორი მესამედი ეკუთვნოდა. დანარჩენი საქონელი—დეკეულები და მოზვრები—ზოგი საკუთარი იყო თინასი და ზოგი ნახევარი. „ვარს ვეტყვი, არ მიეცემ!“ გაუბრინა ესიკას ფიქრებში. მაგრამ შემდეგ, როცა კარგა დაუფიქრდა, დაინახა, რომ შეუძლებელი იყო. „დავლარტაკლებით... ქვეყნის სასაცილოთ გავხდებით... შიმშილით დავწყდებით!“ ტირილით წამოიძახა ამ ფიქრის შემდეგ ესიკამ. ის გულ-მოსული იყო ცოლსა და შვილებზე, რომლებიც ბოლო ჟამს თვით-ნებობას იჩენდენ და აღარ უყურებდენ ესიკას დარჩევას და ამით, ეს არის, ვითომ-და, უკულმა წაიყვანეს ოჯახი. ესიკამ გადაწყვიტა წასულიყო და მოეყვანა თავის ნაბატონარი აზნაურის შვილი, რომელსაც ენა საკმაოთ უჭრიდა და ამისთანა წამხდარ საქმის მოგვარება იცოდა.

— სა მიხვალ, ჩემო მახლო?—მიიძახა თინამ ესიკას, როცა უკანასკნელმა ჰისკარი გააღო და ცალი ფეხი გადადგა კიდევ წასასვლელათ.

— აგერ მეზობლისას გადარება მინდა,—უბასუხა ესიკამ დალონებით.

— ჯერ ჩვენი საქმე გავათაოთ და მერე, ჩემო მახლო.

— ნუ დააქცევ შენგან აშენებულ ოჯახს, ნუ აპყობი აბდალაი ბაღნების სიტყვას, არ გეკადრება,—სცადა კიდევ ამ სიტყვებით ესიკამ თინას მორიგება.

— აღარა, ჩემო მახლო, ახლა ვათავებულობა, უნდა მოგშორდე. ჩემ თავს რომ ერთი ტუნტრუცი გოგო აჯობინეთ, მას მერე მე აქანაი რაღა დასადგომი ვარ? დღეს გავათაოთ ბარემ საქმე, უკეთესია,—უბასუხა თინამ.

— ასე ელანძე რაჟა იქნება, ჩემო რძალო! ადვილია ოჯახის...—მეტის თქმა ველარც-კი შეიძლო ესიკამ.

— ერთი კვირის საქმე რა არის აქანაი! რაც მერგება, შენც კარქათ იცი, დახარჯული რაც არის, იგიც იცი, მომე და წავალ.

ესიკას კვდრის ფერი დაედო. ახლა ცხადათ დაინახა, რომ თინაი ძველსა და ახალს ანგარიშს ყველას თხოულობდა. „რაც დღეს ცხადათ ჩანს, იმას გარდა, სულ ყოლიფერში ვარს ვეტყვი, ღმერთი არ მიკალონებს ამას“. გაუბრინა ესიკას ფიქრებში, მაგრამ ერთი წამის შემდეგ ხელ-ახლავ უიმედო შეიქნა: თინაი თავის დღეში ისე არას დახარჯავდა ოჯახზე, რომ მთელ მეზობლობას არ გაეგო ეს. ის მეტათ თავ-მოყვარე ადამიანი იყო, თუ-კი ვისმეს ცოტაოდენ კეთილს უზაზდა, მტერსა და მოყვარეს, ყველას შეაწუხებდა იმაზე ლაპარაკით, რაო და ეთქვათ—ასეთი კეთილი ქალია თინაიო. როცა ესიკა თინას საკუთრებიდან, რასაკვირველია, თინაის ნებით, რამეს დახარჯავდა, თინა მთელ მეზობლობას შემოიქაქანებდა და ყველას ეუბნებოდა: „რა ექნა, ბაღნები რომ ეყოლება კაცს, ისე მყავს ესიკაი და მისი შვილები სარჩენათ. მე რომ მოვშორდე, შიმშილით დეიხოცებიან. დღეს ესა და ეს დახარჯე იგინის გულისთვის“. მეზობლებიც თავის მხრივ ამბობდენ: მისცა ღმერთმა იმ ქრივი დედაკაცის ყოფა ესიკა წაბლაძენს საქმლათ. ოდაც იმით დედა და სიმდიდრით რომ ამაყობს, იგიც იმ ქრივი დედა-



კაცის ქონებით არისო. ესეკამ კარგათ იცოდა, რომ მე-ზობლები ასე უყურებდნენ მას. ახლა რომ თინასთვის რამეში უარი ეთქვა, თინაი მეზობლებს დაასახელებდა მოწმეებათ და ეს უკანასკნელებიც სულ ყოველივეს გამოაშკარავებდნენ.

— კაი, რალამც საშველი არ აქ, ელანძე აგერ მე-ზობლისას გადვიარ და ქე მოვალ,—უთხრა ესეკამ თინას და გასწია იმ აზნაურისკენ, რომლიდანაც მოელოდა შველას.

— შენი ჭირიმე, მიშველე რამე, თვარა ვილუბები ავია! იქით ოჯახს გამიბოყვენ და აქეთ კიდევ გადარეული ჩემი ბიჭი, სამსონაი, ცოლს მოვკლავ და მერე თავს მევიკლავო ჩივა. ჯოჯოხეთი ტრიალებს ჩვენსას რალაი! თუ ამ საქმეში მიშველით, ხუთ მანათს მოგართუმ,—შეეხვეწა ესეკა ნაბატონარის შვილს.

ხუთი მანეთი გულა-მშიერი აზნაურისათვის კარგი ფული იყო და ამიტომ ისიც სიხარულით ჩაერია საქმეში, სადაც, ხუთ მანეთს გარდა, კარგი სადილი და ვაჭმამიც მოელოდა მასპინძლისაგან*).

ტომას გუდიდამ¹⁾

სიმღერა მკერვალი ქალისა.



აწელულებული თითები სტეივა,
სტეივა თვალები გაწვალულებული,
კანკის ძველებში უზის საკერავს,
მუშაბს ნემსი გამალებული.

ჭკერავს და ჭკერავს, ჭკერავს მშიერი
და თანა მღერის ნაღვლიან ხმაზე,
მღერის და მოსთქვამს ამ სიმღერაში
მწუხარე ამბავს თვის საკერავზე:

„ჭკერე და ჭკერე შეუსვენებლივ,
ახა იუიფლას უკვე მამაღმა,
მაგრამ შენ მაინც ჭკერე და ჭკერე,
თუნდ გათენება გამტნოს ვარსკვლავმა!
განა არ სჯობდა, რომ მომკვდარეიყუ,
ტუვეთ ქმნილი მონათ ურჯულათ ხელში?
იქ საცხონებლათ არ ფიქრობს ქალი,
როგორც სხევეათ ქრისტიანებში?“

ჭკერე და ჭკერე შეუსვენებლივ,
მოდლილს ვიდრე თვალთ დაკბინულდება,
ბლანდი, გვირისტი, გვირისტი, ბლანდი...

*) აი, აქ წყდება მოთხრობა, მაგრამ აქედანაც ადგილი დასანახავია, რომ ეს ოჯახი უნდა დაირღვეს, და მისი წევრნი ცალ-ცალკე წავიდნენ. მოთხრობის სიუჟეტი ჰგავს ავტორის „პარტახს“, მხოლოდ „სოლ-ქმარში“ უფრო რთული ცხოვრებაა აღებული და ახალი ტიპები გამოყვანილი (მაგ. თინა), რაც პარტახში არ არის რედ.

¹⁾ ტომას გუდი ინგლისელი პოეტია, ცხოვრობდა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს. მის ლექსთა შორის პირველი ადგილი უჭირავს ამ ჩემ მიერ ნათარგმნ ლექსს. ამ ლექსმა ძლიერი შთაბეჭდილება იქონია ინგლისის ერზე, ისეთი თანაგრძნობა გამოიწვია „მკერვალ ქალთადმი“, რომ დაარსდა რამდენიმე საზოგადოება მათ დასახმარებლათ. დღეს ეს ლექსი ზეპირათ იცის ინგლისში თითქმის ყველა მკერვალმა ქალმა და მღერის მას თვის სამუშაო ოთახში, გარეთ ქუჩაზე და ყველგან, როდესაც კი შემთხვევა მიეცემა თვისი ტანჯვა აგრძობინოს და გააგებინოს სხვასაც.

დიღშიაგ-კი სულ ეს გელანდება!
ახ, ძმებო, თქვენის საყვარელ დების
ცოლის ნუგეშო, ნუგეშო მშობლის,
იციო რა გმოსავთ? ფარხა კი არა,
ეკ სისხლი არის მკერვალ ქალების!

სივარდისგან, სიღატაკში
ერთის ნემსითა ვკერავთ ორს რამეს,
ერთის ფარხიდან სხვისთვის ძაწუელს,
ჩვენთვის ვამზადებთ სუად-სამარს.

მაგრამ რა არის ჩემთვის სიკვდილი?
არ მუშინან და არც შეგვართები,
თუნდა ამ წუთას გუფს ჩამეყაროს
ჩონჩხთ ქვეული მისი ხელები!

მეც რომ მას ვგვეყარ გაფითრებული,
მკვდა წავიდა ჯანი და ნირი,
ახ, დმერთო, დმერთო, რათ არის ასე?
სისხლი იაფი, ზური კი ძვირი!

ჭკერე და ჭკერე შეუსვენებლივ,
აუტანელი შრომა და ტანჯვა!
ჯილდოთ—გამხმარი ზურის ნაჭერი,
ლოცინათ—გელის გამხმარი ნამჯა.
თავ შესაფარათ ჭერ მონგრეული
სარდაფი, ბნელი და ხესტიანი,
მის სველ კედლებზე ჭკრთება ხანდახან
ჩემი აზრდილი კანკებიანი!

ჭკერე და ჭკერე შეუსვენებლივ,
რაცა ფანჯარას უინვა შეთაშავს,
ჭკერე და ჭკერე შეუსვენებლივ
მაშინაც, რაცა გარს სხივი გმოსავს
და გაზაფხულის ცელქი მერცხლები
სახლის სხინს ქვეშ მიჭქრი-მოჭქრიანს,
ჭკეჭკეკით ღხენით დანავარდობენ
და სანავარდოთ შენც გეძინიან.

ახ, ნეტავ ერთხელ ამამსუნთქა
წმინდა ჭკრით მწვანე მინდორზე!
ვუტკერდე ცასა, ლაყვარდოვანსა,
ვცელქებდე, ვსტოდდე ნორს უვავილებზე,
რომ მოგეგონო ჩემი სიბავშვე,
რაცა არ ვგრძნობდი ამ მომავალსა
და არ ვიცოდი, თავისუფლებას
ვანაცვალდი ზურის ლუკმას.

ახ, ნეტავ ერთს წუთს, ნეტავ ერთ წამს
მწარე ნაღველი გუფს გადაეაროს
და სიყვარულის იმედმა გულში
ნეტა ერთ წამით გაიფრთხილდეს!
ცრემლი ძაღვს კგულს მარკემს შევებსა,
მაგრამ, თვალებო, ნუ ღვრით ხაკადუფს,
ნუ უშლია ჩემს ნემსს და საკერავსა,
ნუ დამისველებთ ტურფათ მატარგულს!“

აწელულებული თითები სტეივა,
სტეივა თვალები გაწვალულებული,
კანკის ძველებში უზის საკერავს
მუშაბს ნემსი გამალებული.

ჭკერავს და ჭკერავს, ჭკერავს მშიერი,
თახ დაჭლიდინებს ნაღვლიან ხმაზე,
ახ, ბედნიერო, ნუ თუ არ გიკრთით
გული მის შავ-ბნელ—მწარე ამბავზე!

ქართული ლიტერატურა მე-XIX საუკუნეში.

ერთმა საუკუნემ გაიარა მას აქეთ, რაც საქართველოს ცხოვრება სრულებით სხვა პირობებში ჩადგა და ცხადია, ბევრს დაებადება ასეთი კითხვა: როგორ და რა მხრით განვითარდა ამ დროს განმავლობაში ჩვენი ცხოვრება, რა მანძილი გაიარა მან კულტურული წინმსვლელობის გზაზე? ასეთი კითხვა ბ. კიტა აბაშიძესაც დაბადებია, მაგრამ, როგორც კრიტიკოსი, ის მხოლოდ ჩვენი ლიტერატურული ევოლიუციით დაინტერესებულა, კითხვის გადაწყვეტა მკითხველებისათვის მიუზღვია, თვითონ კი ყურადღება მიუქცევია მართო ლიტერატურის უმთავრეს ტონისათვის. ჩვენი ლიტერატურის უმთავრეს ტონათ წარსულ საუკუნეში ბ. აბაშიძე აღიარებს პესსიმიზმს; თუმცა ამით ძალიან ცოტაა ნათქვამი, მაგრამ ჩვენ მაინც არას ვიტყუდით, რომ ბ. აბაშიძეს კერძო მწერლები არ მოეყვანა თავისი აზრის დასამტკიცებლათ. ჩვენ დროში ვერ ნახავთ ისეთ მწერალს, რომელსაც ერთი სევდა მაინც არ დაბადებოდეს, ერთი კენესა მაინც არ აღმოხდენოდეს გულიდან, მაგრამ ამის მიხვედით თუ ყველა პესიმისტით მოგნათლეთ, დიდი სიცრუე იქნება. ასეთივე სიყალბეა და ნაძალადეობა ალ. ჭავჭავაძის პესსიმისტობა: ეს პოეტი იყო ტიპური გამომხატველი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეცხრამეტეს დასაწყისის თავადობის რწმენა შეხედულებისა, თავისი პოეზიით დაგვანახვა მხოლოდ ამ თავადობის წვრილთავიანობა და სრულებით უმნიშვნელოთ ჩაიარა ჩვენის ცხოვრებისათვის. პესსიმიზმი განვითარდა წარსული საუკუნის პირველ ნახევარში, მაგრამ აქაც ბარათაშვილის პესსიმიზმსა და ვ. ორბელიანის პესსიმიზმს შორის არაფერი საერთო არ არის: მაშინ, როდესაც ვ. ორბელიანის პესსიმიზმი იყო პესსიმიზმი მხოლოდ ერთი კლასის—თავადობის, ბარათაშვილის პესსიმიზმი იყო პესსიმიზმი ბაირონისა და შელლისა, პესსიმიზმი ღრმა ფილოსოფიური, პესსიმიზმი მსოფლიო. მესამოცე წლებიდან ცხოვრების ერთბაშმა ევოლიუციამ ისე აღაფრთოვანა ჩვენი პოეზია, რომ მის უმთავრეს ტონს პესსიმიზმი სრულებით აღარ შეადგენდა, მასში იყო მხოლოდ მისუსტებული ხმა კლასიური პესსიმიზმისა, რომლის გავლენასაც აკ. წერეთელი და ილ. ჭავჭავაძეც ვერ ასცდნენ. მაგრამ ეს პესსიმიზმი არ შეადგენდა დამახასიათებელ თვისებას მესამოცე და მესამოცე და ათე წლების პოეზიისას და ამიტომ ჩემთვის სრულებით გასაოცარია, როდესაც ბ. კ. აბაშიძე ცდილობს, აკ. წერეთელი და ილ. ჭავჭავაძე პესსიმისტებათ მონათლოს. გ. წერეთლის ბელეტრისტიკაში პესსიმიზმის დანახვა ხომ სწორეთ მელის სიზმარია. ოთხმოც და ათ წლებში ჩვენში ისევ იჩინა თავი პესსიმიზმა, ხოლო ეს პესსიმიზმი ბევრით განირჩევა წარსულ საუკუნის პირველი ნახევრის პესსიმიზმისაგან: მაშინ, როდესაც პირველი იყო უმთავრესად პესსიმიზმი კლასიური, მეორე არის ერთი მხრით პესსიმიზმი ფილოსოფიური ანუ მსოფლიო (არაგვისპირელი, დეკანოზიშვილი), მეორეს მხრით პესსიმიზმი სოციალური (ევდოშვილი, არაგვისპირელიც). როდესაც ბ. კ. აბაშიძე ვციხადებს: ეს პესსიმიზმი „მთელი ერის სულის განწყობილების გამომსახველია, საერო ნიადაგზე აღმოცენილია“, ამ აზრსაც დიდი განმარტება სჭირია; წარწული საუკუნის პირველი ნახევრის პესსიმიზმი ამ გვარ

ნიადაგს სრულებით მოკლებული იყო; მეოთხმოცედათე წლების პესსიმიზმს კი საერო ნიადაგი უდევს საჩუქრად. მიაგნო რა უმთავრესი ტონი ჩვენი ლიტერატურისა, ბ. აბაშიძემ მოინდომა იმის გამოკრევეა, თუ საერთოთ რა იყო ჩვენი ლიტერატურა წარსულ საუკუნეში და რა იქნება ის მომავალში, ან რა უნდა იყოს. ამ კითხვის უკეთ გადასაწყვეტათ მან მიმართა სხვი და სხვა მწერლებს, რომელთაგან ბევრმა ბ. აბაშიძე დიდ განსაცდელში ჩააგდო; ათჯერ რომ გარდაკითხოს მილის ლოლიკა, ზოგიერთ მიღებულ წერილში ერთ ლოლიკურ აზრს ვერ ნახავს. ყოველ ადამიანს სრული უფლება აქვს, უაზრო წერილებსწეროს და უაზრო წერილები იკითხოს, მაგრამ როდესაც ასეთი წერილებიდან რაიმე ზოგადი აზრი, ზოგადი დასკვნა გამოჰყავთ და საზოგადოებას აწვდიან, მაშინ ყველას უფლება ეძლევა ამ წერილებისა და მათი აზრის აწონ-დაწონვისა. ჩვენ მხოლოდ ამ უფლებით ვსარგებლობთ.

ყველა ავტორები, რომლებმაც ბ. აბაშიძის თხოვნა შეასრულეს, ერთ დიდ შეცდომაზე გადამჯდარან, გარდა ერთათ ერთი განდევლისა და მცირეოდნათ ს. მალობლიშვილისა; ზოგს ეკლის გვირგვინი დაუდგამს თავზე, ზოგს იმედით შეუმოსია თავისი ნაღვლიანი სახე, მაგრამ, რადგანაც ბ. კიტამ მათ წინდაწინვე აუწყა: ჩვენი ლიტერატურის ტონი პესსიმიზმიანა, არც ერთს არ უნდა, რომ მას აწყენიოს და მის წინაშე ყველა თავს ჰქინდრავს: ასე იქცევა ბ. ფანცხავა, არაგვისპირელი, მალობლიშვილი, - შეიმოსნენ იმედით, მაგრამ მალე გაახსენდათ, რომ ბ. კიტას იმედი არაფრათ ებიტნავება, და თავისი წერილები წუწუნით დააბოლოვეს: დაღუპვა მოგვეღიოსო. რა საფუძველი ჰქონდა მათ იმედს? არავითარი, —რაც უნდა იყოს, მათ წერილში ჩვენ ამას ვერა ვხედავთ. რა საფუძველი აქვს მათ წუწუნს? არავითარი. ეს ბატონები ისე სჯიან ლიტერატურაზე და მის სასურველ მომავალზე, თითქოს ლიტერატურა ცხოვრების პირმშოა შვილი კი არ იყოს, არამედ ზევსის თავიდან იბადებოდეს მინერვასავით და ბ. კიტა აბაშიძის რეცეპტებით იზრდებოდეს. თავისთავათ ცხადი უნდა იყოს თითქოს შემდეგი ჭეშმარიტება: თუ წარსული საუკუნის განმავლობაში ჩვენი ცხოვრება ვითარდებოდა, ლიტერატურაც უნდა განვითარებულყო, თუ ჩვენი ცხოვრება ვითარდება, ჩვენი ლიტერატურაც განვითარდება მომავალში; მაგრამ წერილების ავტორებმა ამ ჭეშმარიტებას გზა აუხვიეს და ერთი გაიძახის: ვიღუპებით, რადგანაც უნიჭოებმა ნიჭიერებს წერლობის ასპარეზი მიგვატოვებიესო, მეორე კი — რაღა დაგვიხსნის, როდესაც ყველა იმ ცნით აღარ სწერს, როგორითაც ჩვენი მამა-პაპანი სწერდნო და სხვ. მაგრამ ჩვენც თავიდან დავიწყეთ და სათითაოთ ჩავყვეთ ყველა წერილებს. ბ. კ. აბაშიძე თავის ნაცნობებს თუ მეგობრებს ხანდახან ძალიან უხვირო საშხახურს გაუწევს ხოლმე: ასეთი სამსახური გაუწია მან იმ ქალს, „რომელსაც დამოკიდებულება აქვს ჩვენს ლიტერატურასთან“: ჯერ თავში რეკომენდაცია წამოუხსუბა წერილს, —ეს პასუხი მეტათ საყურადღებოა, რადგანაც გულწრფელი აღსარებაა აზრთა იმ მდგომარეობისა, რომელიც ჩვენში მეფობსო, მაგრამ როდესაც მისმა რეკომენდაციამ მისივე „მე-პასუხენი“ გააოცა, ბ. კიტამ მეორე რეკომენდაცია გააოცა: „იგი არის გამომხატველი თითქმის მთელი ჩვე-



ნი საზოგადოების ინტელიგენტი ნაწილის აზრისა“, და მეორეს მესამეც მიუმატა, აბა უსამებოთ როგორ იქნება: „აგრეთი მარსის მცხოვრებნი კიდევ საუკეთესო ნაწილია ჩვენის განათლებულის წრისა.“ ბ. კიტას აზრით, „განათლებული ნაწილი ყოფილა და იქნება ყოველთვის მთელი ერის წინამძღოლი, მისი მმართველი“, თუ განათლებულ ნაწილს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს „განათლებული წრის საუკეთესო ნაწილს“ ხომ უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ცხოვრებაში და ამიტომ გავიცნოთ ამ „საუკეთესო ნაწილის“ ერთი მანდილოსანი, რომელიც ასეთი დიდმნიშვნელოვანი ჩაბნი ყოფილა ჩვენი ცხოვრებისა. ამ პატივცემულ მანდილოსანს თავისი წერილი თითქოს იმისათვის დაუწერია, რომ სრული ულოლიკობის ნიმუში წარმოედგინა ბ. აბაშიძისათვის. წერილის თავშივე ის გვიცხადებს: ქართული ლიტერატურა სულ უცნობია ჩემთვისო. კარგი და პატიოსანი: არ ცოდნა არ ცოდვანო, მაგრამ თუ ჩვენ ლიტერატურას სრულებით არ იცნობს, პირველი—რათ ლიტერატორობს, (აკი ბ. კიტა გვიცხადებს: დამოკიდებულება აქვს ჩვენს ლიტერატურასთანაო!) მეორე—რათ სწერს თავის აზრს ისეთი საგნის შესახებ, რომელიც მას არ გაეგება, მესამე—რა ფასი აქვს ამ გვარ აზრს? პირველის პასუხს ისევ ბ. აბაშიძე გვეტყვის; მეორის პასუხს თვითონ ეს მანდილოსანივე გვეუბნება: თუმცა მე ქართული ლიტერატურისა არა გამეგება—რა, მაგრამ თქვენი სურვილი უნდა ავასრულოვო. ახირებული ხასიათი ჰქონია ამ მანდილოსანს. ბ. კიტას სურვილი მისთვის „კათეგორიული იმპერატივი“ ყოფილა და ისეთ საგნებზედაც კი ალაპარაკებს, რომლებიც მისთვის სულ უცნობია! მესამე კითხვის პასუხი ყველასათვის ცხადია: ფასი ისეთი აზრისა, რომელიც საგნის ცოდნაზე არ არის დამყარებული, გახვრეტილი გროშია. ქართული ლიტერატურის უცოდინარობა ამ მანდილოსანს უბედურებათ და სამარცხვინო ნაკლათ მიაჩნია. აქედან ლოლიკა ერთად ერთ გზას უჩვენებს მას; უბედურება და სირცხვილი თუ გინდა აიცილინო, შეისწავლე ქართული ლიტერატურა. მაგრამ ამ მანდილოსანის ლოლიკა სხვანაირი ყოფილა. მას არა აქვს სურვილი ქართული ლიტერატურის გაცნობისა. ბიჭოს?! თუ კი ეს სირცხვილათ და უბედურებათ მიგაჩნიათ, რატომ არა გაქვთ შესწავლის სურვილი? გაოცებული ეკითხებით თქვენ. უკაცრავათ, თქვენს უმაღლ ბ. კიტა ეკითხება; ეტყობა, ასეთ ულოლიკობას ისიც გაუოცებია, რადგანაც კურსივები მოუხშირებია! იმიტომ, რომ გარემოებამ ხელი შემეშალაო, გიცხადებს ის. გეთანხმებით, მაგრამ სირცხვილისა და უბედურების მოსაშორებლათ გარემოების მიერ მოძღვნილი ნაკლულევანების მოშორებას ყოველი ადამიანი უნდა ეცადოსო, გინდათ თქვენ უბასუხოთ, მაგრამ ქ. მანდილოსანს მეორე „იმიტომ“—აც მზათა აქვს: ქართულ ლიტერატურას არ შეუძლია ჩემი აზრის დაკმაყოფილებაო: ამ მანდილოსანის სასარგებლოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ მას თვითონვე შეპარვია ეჭვი თავისი აზრის სიდიდეში; ვაი თუ ტყუილს ვამბობდეთ, და მალე დარწმუნებულა, რომ ტყუილს ამბობდა და, ვიდრე ამ ცრუ აზრს გამოთქვამდა, გამოგვიტყდა: ეს აზრი უმეცარია და შეიძლება შემცდარიცო. ჩვენ ეჭვიც არ შეგვიტანია, რომ ამ მანდილოსანს ქართული ლიტერატურა ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ რადგანაც თვი-

თონვე აცხადებს: არ დაიჯეროთ, უმეცრებას ვამბობ და შეიძლება შეცდომასაცაო, რა უფლება გვაქვს არ დავეთანხმოთ, რომ ის „უმეცრებას აღიარებს და შეიძლება შემცდარ აზრსაც“?! მაგრამ კერძოთ მე შემდეგი გარემოება მაკვირვებს: დალოცვილი მანდილოსანი თუ კი თვითონვე გრძნობდა, რომ „უმეცარი და შეიძლება შემცდარი აზრიც უნდა წარმოეთქვა, ვინ ატანდა ძალას, რაღაზე გვეუბნებოდა,—თავის უმეცარ და შემცდარ აზრს თავისთვინვე შევინახავდი! მაგრამ უკაცრავათ,—ჩვენ კი არ გვითხრა, არამედ ბ. კიტას და ბ. კიტას სურვილს ხომ მასზე, მისივე აღსარებით, ასეთი გავლენა ჰქონია, რომ ათასგვარ უაზრობას წარმოათქმევებს, ხოლო როდესაც ბ. კ. აბაშიძე ამ უაზრობას სხვა და სხვა რეკომენდაციებით „ცნობის ფურცელში“ ასაღებს ნიასიათ, ესეც ხომ მანდილოსანის ბრალი არ არის! ამ მანდილოსანის აზრით ჩვენი ლიტერატურა მეტათ ღარიბია, მეტათ ინტერესს მოკლებულია, ცხოვრებას ჩამორჩა და ახლა მხოლოდ ისტორიულსა და არქეოლოგიურ ინტერესს წარმოადგენს. ასეთი კათეგორიული აზრი რომ წარმოთქვა ადამიანმა რომელიმე საგნის შესახებ, ამ საგანს ძალიან კარგათ უნდა იცნობდეს. ეს მანდილოსანი კი, თავისივე აღსარებით, ჩვენს ლიტერატურას სრულებით ვერ იცნობს, მაშ ვინ აუწყა მისი სიღარიბე, ჩამორჩენა და სხვა და სხვა? ყოველივე ეს მას ლიტერატურის შესწავლით უნდა ამოეკითხა, მას კი ლიტერატურა არ შეუსწავლია. მაშ რაღათა თქვა? ბ. კიტას სურვილი აღასრულა! ვთქვათ ჩვენი ლიტერატურა მართლაც ვერ აკმაყოფილებს ამ მანდილოსანის აზრს. ნუ თუ ეს უფლებას აძლევს მას, არ შეისწავლოს ეს ლიტერატურა და არა თუ არ შეისწავლოს, სამშობლო ლიტერატურის უცოდინრობით თავიც მოჰქონდეს?! მე მგონია არა. ყოველგან და ყოველისფერში მარტო სარგებლობით ხელმძღვანელობა იგივე პირუტყვობაა. ასეთი მოტივით მხოლოდ პირუტყვი ხელმძღვანელობდა უძველეს დროს, მაგრამ დღეს ისიც აღარ ხელმძღვანელობს ამ საზომით ყოველგვარ შემთხვევაში და ასეთი აზრი მით უმეტეს ადამიანს არ მიეტყვება. რასაკვირველია, ყოველ ადამიანს სრული უფლება აქვს, თავის თავი პირუტყვს დაადაროს, მაგრამ თავ მოსაწონი აქ არაფერია. სამშობლო ლიტერატურა კიდევ რომ არ აკმაყოფილებდეს ადამიანს, ის მაინც მოვალეა, როგორც ადამიანი, შეისწავლოს ეს ლიტერატურა, შეისწავლოს თავისი ერის ცხოვრება და საქიროებანი მისთვის, რომ თავის საზოგადოებას რაიმე მხრივ დახმარება აღმოუჩინოს. ხალხის კულტურულ სიმდიდრეზე დამოკიდებულია მისი ლიტერატურის სიმდიდრეც. ამიტომ ყოველმა ადამიანმა ხელი უნდა შეუწყოს თავისი ერის კულტურულ წინმსვლელობას, რაც თავის მხრივ ლიტერატურის წინმსვლელობასაც გამოიწვევს. ამისათვის კი საქიროა ერის ცხოვრების ყოველმხრივი შესწავლა, თუნდა ეს ცხოვრება სრულებითაც არ აკმაყოფილებდეს ადამიანის გონებრივ მოთხოვნილებას. ეს მანდილოსანი თვითონაცა გრძნობს, რომ „როგორც ქართველმა დედამ, მან ყველაზე უფრო უნდა იცოდეს ქართული აზრისა და ენის ისტორია და ნიმუშები“. ყოველი დედა ვალდებულია, შვილები აღზარდოს საზოგადოების სასარგებლო წევრებათ; ამისათვის კი საქიროა, რომ უმაღლ ის იყოს საზოგადოებისათვის სასარგებლო;

ამ უკანასკნელისათვის კი საჭიროა ცოდნა იმ საზოგადოების ცხოვრების, გონებრივი მდგომარეობისა და საჭიროების, რომელშიაც ცხოვრობ; ამიტომ სრულებით უაზროა მანდილოსანის სიტყვები: ქართული ლიტერატურის შესწავლის სურვილი არა მაქვს, რადგანაც მას არ შეუძლია ჩემი აზრის დაკმაყოფილება. მანდილოსან გულ ამღვრეული იხსენიებს იმ ქართველ ოჯახებს, რომლებიც გადაგვარების გზაზე აღვიან, მაგრამ თავის გულშიც რომ ჩაეხედა, ენაზე იკებენდა და, თუ სხვაზე გული ემღვრეოდა, უმალ თავის თავზე ამღვრეოდა. თუ ქ-ნი მანდილოსანი ჩვენ ოჯახებს ეკითხება: სადღაა ქართველიო, მე კი მისი წერილისა და ბ-ნი კიტას შენიშვნების წაკითხვის შემდეგ ძალაუნებურათ დავეკითხე ჩემს თავს: ნუ თუ ეს არის ჩვენი ქართველი დედა, ნუ თუ მართლა ასეთია ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, რომელმაც ქართველ ერს ბ-ნი კიტას სიტყვით წინამძღოლობა უნდა გაუწიოს? არა და არა. ეს არის მხოლოდ მეტი ხორცი ჩვენი ერისა, ასეთი პირნი არ შეადგენენ ჩვენს ინტელიგენციას. ინტელიგენტებს მე ვუწოდებ იმ პირთ, რომლებიც გონებრივად ხალხზე მაღლა დგანან, ხალხის სულსა და გულს იცნობენ და მისთვის ზრუნავენ და არა იმ პირთ, რომლებიც ხალხის გულსა და გონებას არ იცნობენ, არც სურვილი აქვსთ გაიციონ და რომლებსაც ამის მიუხედავად ბ. აბაშიძე ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს უწოდებს. ნუ თუ ესეც დაბრმავება არ არის? ნუ თუ ესეც პირუთენელი აზრია, მეგობრობის კავშირით ამალღებული და განსპეტაკებული? მანდილოსანის აზრით, ჩვენს ლიტერატურას მხოლოდ სიკვდილი მოელოს. მაგრამ მეორე სვეტზედვე გვიცხადებს: ძალათ ვიკლავთ თავს, ძალათ ვცდილობთ დამბლა დაგვეცესო. აქ ულოლიკობამ სწორეთ საზღვარს გადააჭარბა: თუ ჩვენს ლიტერატურას მხოლოდ სიკვდილი მოელოს და მას ცოტათი დღეს უგრძელებს ქართველი ლიტერატორი, რა შუაშია აქ ძალათ სიკვდილი, ძალათ დამბლის დაცემა და სხვ.? ჩვენი ოჯახი გადაგვარების გზას აღვია. ლიტერატურას სიკვდილი მოელოს. ამისთანა დროსო, გვარიგებს მანდილოსანი, აპატია და გულგრილობა არც გასაგებია, არც მოსათმენიო. ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო, სწორეთ ამაზედ არის ნათქვამი. თუ ეს რწამს ქ-ნი მანდილოსანს და ამის თქმასაც ბ. კიტას სურვილის აღსრულება არ აიძულებს, თვითონ რაღათ მისცემია გულგრილობასა და აპატიას, თვითონ რატომ არ სწავლობს ჩვენს ლიტერატურას, თვითონ რათ არის ისეთი ქართველი დედა, როგორცაც თვითონვე გულ ამღვრეული უკიჟინებს? ამ მანდილოსანს გავახსენებთ ქართულ ანდაზას: კულა ხარი თავისთვის არ იყო და სხვებს ბუზებს უგვრებდაო, და მოვახსენებთ: სხვა რომ დაარიგა და ურჩია აპატიისა და გულგრილობის უკუგდება, ახლა თავის თავიც დაარიგოს, შეისწავლოს ჩვენი ცხოვრება და ლიტერატურა და, თუ მაინცა და მაინც არ სურს, საგნის შეუსწავლელათ, მარტო სხვისი სურვილის ასასრულებლათ, მსჯელობას თავი დაანებოს, თორემ ასეთი თავის მართლება: უმეცარ და შემცდარ აზრს ვამბობო, მაგრამ იმიტომ, რომ თქვენი სურვილი უნდა ავასრულოვო, ვერაფერი თავის მართლებაა, რაზედაც თვით ბ-ნი

კიტაც დაეთანხმება. აი ეს გახლავთ „მრავალგვარი საინტერესო“ წერილი, ახლა სხვებს მივმართოთ. ი. ვამართელი.

(შემდეგი იქნება)

ტყვარჩელის შვა-ნახშირი და მის მომავალზე სწა-გაასი-პმშმრბსრგში.

(დასასრული.—იხ. № 14).

III.

ტყვარჩელის სახანო დაჩა მდებარეობს სოხუმის ოლქში (ქუთ. გუბ.) და შეადგენს შავი ზღვის პირათ კავკასიის უღელტეხილის მიფენილს, რომელიც ახლავსდ. ოჩამჩირეს 30 ვერსის მანძილზე, ხოლო სოხუმს—40 ვერსზე. უმთავრესი მდინარე გალიზგა ჰყოფს ტყვარჩელის მიდამოებს ორ დიდ ნაწილათ და გარეგანის შეხედულობით წარმოადგენს ქვაბის მსგავსს, ოღრო-ჩოღრო მთა-გორიან ადგილებს, რომლის უმთავრესი შესავალი არის ვგრედ წოდებული „ტყვარჩელის ბჰისკარი“, სადაც გორებიდან ბარში ეშვება. უდიდესი მთების სიმაღლე-კი აქ 2000—3000 მეტრს აჭარბებს. მდ. გალიზგას ზღვაში ჩასვლამდე მრავალი წვრილი მდინარე და ლეღეები ერთვის. წყლით აჭაურობა მდიდარია. ლეღეებით სულ მოფენილია მთელი ტყვარჩელის მიდამოები. უმრავლესობა ამ მდინარე-ლეღეებისა მთების მაღლობებიდან დაქანებულათ გადმოჩანს ქარებენ და ამიტომ გზა და გზა მრავალ ჩანჩქერს შეხვდებით. ამგვართ, ეს წყლები წარმოადგენენ მუქთ, სამთა-მადნო ტენიკაში გამოსადეგ ძალას, ენერგიას. მდინარე გალიზგას სათავე ხეობაში მის მიმდინარეობიდან იყოფა ლაშქენდარის და ოსიირის მთით ზღვისაკენ დაქანებულ ორ ნაწილათ და თავდება ფართო ქალით, რომელზედაც საურმე და საცხენოსნო გზა მიდის; ლაშქენდარის ძირში-კი მოფენილია სოფელი. მთელი ტყვარჩელის ადგილები მოფენილია ახალი ტყით, სადაც შეხვდებით მუხას, წიფელას, წაბლს, თხილნარს, ქვერნალს, იელას, რცხილას და სხ. ზევით და ზევით ფიქვი და ნაძენარიც არის. სხვათა შორის, ამათში დიდ განძს შეადგენს ბზის ხე, რომელიც მეტათ ფასობს დღეს. მთის მაღლობებზე არის აგრეთვე საბალახოები და ბუჩქნარი, რაც ძალიან აძნელებს ამ ადგილებში მიმოსვლის და მუშაობის საქმეს.

ჰაერი აქ მომეტებულიათ, როგორც შავი ზღვის ყველა ნაპირებში, ნესტიანია და ამ მხრით ტყვარჩელის მიდამოებს პირველი ადგილი უჭირავს რუსეთის სხვა ადგილების ჰაერთან შედარებით. ამასთან, როგორც მთა-გორიანი ალაგების ჰაერი, იგი სასიმრთელოა. ზამთარი ძალიან თბილი იცის და დაბლობზე თოვლს იშვიათათ ნახავთ. მდ. გალიზგას აქეთ-იქეთა ნაპირებთან გამოჰქუხს მინერალური (გოგირდის) წყლები, რომლების სამკურნალო თვისებებით, ადგილობრივ მცხოვრებლებს გარდა, მოსულებიც სარგებლობენ, თუმცა ახლანდელი აბანოების მოწყობილება სრულიათ უხერხული და ძვირია. დღეიდან-კი ნახშირის მწარმოებლებს აუღიათ იგი იჯარით და დაჰპირებიან მინისტრს ერმოლოვს თავიანთი ხარჯით კარგი აბანოების მოწყობას.

რაც შეეხება გეოლოგიურ მხარეს ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მადნებისას, იგი წარმოადგენს შიპების ანუ



შრეების (ПИАСТЬ) სისქე, სიგძე და სიგანით მრავალფეროვან მოყვანილობას: ზოგან საზოგადო სისქე ქარბობს და აღის 2—7 საყენამდე, ზოგან—სიგრძე და ვრცელდება 4¹/₂ ვერსი, ზოგან სიგანით 3—6 არშინი აქვს. უფრო მოსქო შიპები მადნების ქვედა ნაწილებშია და უდრის 6—7 საყ. და რაც უფრო ზევით იწევს, მით თხელდება და ჩამოდის 4 საყენზე; სულ თავი შრე 14 გოჯია. პირველ და მეორე შრეებს შორის მანძილი 6 საყენია, ხოლო დანარჩენებს შორის—სამ-სამი. ამოსაღები ნახშირის სისქე საშუალო რიცხვით სამი საყენია. გამოკვლეული ნახშირის სიგრძე ჯერ მხოლოდ ოთხ უბნათ არის დაყოფილი და შეადგენს 40 ოთხ-კუთხ ვერსის მანძილს; სულ მთელი ტყვარჩელის ნახშირის მიდამო შეიცავს 200 ვერსს. ყველაზე უფრო გალიზგას მარჯვენა და მარცხენა ნაპირებია გამოკვლეული; განსაკუთრებით-კი მარცხენა ნაპირები იძლევა დიდ მადნებს და შეიცავს 8 ოთხ-კუთხ ვერსს. ნახშირის შიპები პირდაპირ ჩანან მიწას ზევით, რაც მუშაობას ძლიერ გააადვილებს. უკვე დაბეჯითებით გამოკვლეულ გალიზგას მარცხენა ნაპირების ადგილებში ინჟინერის ჩერნევსკის (წინად იგი ტყიბულში ნოვოსელსკის ქვა-ნახშირის წარმოების მმართველი იყო) გამოანგარიშებით უნდა ამოვიღეს 4.377,600 ფუთ., ხოლო ოთხივე ალაგას—2.522.000,000 ფ., ანუ 43.200,000 ტონი ნახშირი. ამას დანარჩენი, ჯერ გამოკვლეული ადგილები, დაემატება და წელიწადში 50 მილიონი ფუთი ნახშირი რომ ამოვიღოთ, მადნები სამოც წელიწადს იკმარებს—ამბობენ ინჟინრები.

უაღრეს თვისებას ტყვარჩელის ნახშირისას შეადგენს მისი კოქსათ გადაკეთება*), რაც ასე ფასს ღებს მის სამრეწველო მნიშვნელობას. 4 ადგილას: თვით ტყვარჩელში—ბუტმი-დე-კაცმანის, ოდესის უნივერსიტეტის, პეტერბურგის სამთა-მადნო ინსტიტუტის და ფინანსთა სამინისტროს ლაბორატორიებში ტყვარჩელის ნახშირის გამოკვლევებმა აღმოაჩინა, რომ იგი შეიცავს 65—70% კოქსს. მაგრამ ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მწარმოებლები ლაბორატორიულ გამოკვლევებს არ დაჯერდნ და გამოცადეს მისი სიაკარგე შავ ზღვაზე მოსიარულე სამხედრო გემებზე-დაც. ამ გამოცდილებამ აღმოაჩინა, რომ ტყვარჩელის ნახშირი 10%-დან 20%-მდე ეკონომიას, მომჭირნეობას იჭერს სხვა სათბობ მასალებთან შედარებით.

ტყვარჩელის ნახშირს ამ სამეცნიერო გამოკვლევით უაღრესობას გარდა მრავალი სხვა კარგი მხარეებიც აქვს. აი ეს მხარეებიც: 1) მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა ზღვის პირათ, რაც მას ძალიან აახლოვებს ბაზართან. მთელი შავ ზღვაზე დამავალი გემები და შავი ზღვის ნაპირების მიყოლ-მოყოლა ქალაქები, აგრეთვე სამხრეთ რუსეთის გუბერნიები და კავკასია,—აი ბაზარი, რომლის დაკმაყოფილებასაც თუ აუვა ტყვარჩელის ნახშირის წარმოება, ეს სრულიად თავმდები იქნება ამ ადგილში მსხვილი მრეწველობის განვითარებისათვის, რაც,

რასაკვირველია, დიდ თანხას მოითხოვს საქმის დამწყობათაგან. 2. რადგან შავი ზღვა და მისი ნავთ-სადგურები მთელი წლის განმავლობაში არ იყინებიან პეტერბურგის და საზოგადოთ ჩრდილოეთ რუსეთის ზღვების ნავთ-სადგურებივით, სადაც ნახევარ წლობით შეჩერებულია გემების მიმოსვლა,—ამიტომ ნახშირის გადაზიდვა ყოველთვის ერთნაირ დონეზე შეიძლება იდგეს, და ეს-კი თავისი მხრით არ გამოიწვევს მეტ ხარჯებს ნავთ-სადგურებთან საწყობების გასაკეთებლათ. 3) რადგან ტყვარჩელის ნახშირის გადაზიდვა ზღვამდე საზოგადო რკინის გზების მიმოსვლაზე არ იქნება დამყარებული, არამედ თვისი საკუთარი ცალკე ტოტი ექნება, ამიტომ ვაგონების განაწილების საქმეც უკეთ იქნება მოწყობილი. 4) ტყვარჩელის ქვა-ნახშირის წარმოების განვითარება გამოიწვევს სამხრეთ რუსეთის და კავკასიის სამეცნიერო მრეწველობის განვითარებას, რომლისათვისაც ასე საჭიროა სათბობი მასალის სიახლოვე. 5) აქ მრეწველობის განვითარება ხელს შეუწყობს უკვე განზრახულ შავი ზღვის პირებზე რკინის გზის გაყვანის პროექტს და ნავთ-სადგურის გაკეთებას თუ საკუთრათ ოჩამჩირეში არა, სოხუმში მაინც. მხოლოდ ახალი გზების გაყვან-გამოყვანის საქმე მკიდროთ უნდა დაუკავშირონ მთელი ამ რაიონის გეოგრაფიულ, ტექნიკურ და ეკონომიურ საჭიროების გამოკვლევას, რაც ჯერ არავის მოუხდენია. თვით მადნების ზოგიერთ უაღრესობას შეადგენს 7, სიღიადე უაღრეს საშუალო შრეებისა 8, ნახშირის გამოღება მიწიდან უმთავრესათ გვირბების და არც შახტების (ჭების) შემწეობით იქნება, რომელიც არ მოითხოვს მექანიკურის საშუალებებით ნახშირის წყლიდან განთავისუფლებას და ხარჯს იმის ზევით ამოზიდვისათვის, როგორც ეს ჰქირდებათ დონის აუზის ნახშირის მწარმოებლებს და სხ.

ინჟინერ ჩერნევსკის გამოანგარიშებით, ტყვარჩელის გაწმენდილი და ხარისხებათ დაყოფილი ნახშირი ოჩამჩირეში ფუთი დაჯდება 4,42 კ., აქედან გადატანა—3 კ., დანარჩენი წვრილმანი ხარჯები და თანხის პატრონთა დივიდენდი 2—3 კაპ. და სულ 10 კაპ. ოდესაში იგი 12 კაპ. დაჯდება. დონის ნახშირი-კი ადგილობრივ ჯდება 6—7 კ., მარიოპულში 10—12 კ., ოდესაში 14—15 კაპ., ასე, რომ სიიაფითაც ტყვარჩელის ნახშირი საგრძნობელ მოქიშვობას გაუწევს რუსეთის ადგილების დანარჩენ ნახშირს. აი რაგვარი უაღრესობის მექონია ტყვარჩელის ქვა-ნახშირის საქმე და ამას შემდეგ რა გასაკვირია, თუ მის მომავალზე ასე ბევრს ლაპარაკობენ როგორც პრესაში, ისე ცხოვრებაში, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. თუ მივიღებთ სახეში ყოველსავე ზევით ნათქვამს, უნდა დავსკვნათ, რომ ტყვარჩელის ქვა-ნახშირის საქმეს შეუძლია საბატო ალაგი დაიჭიროს რუსეთის საზოგადო მეურნეობაში და ნახშირის დღევანდელი კრიზისი შეანელოს.

პროფესორ ლ. ლუტუგინის მოხსენებამ მეტად დაინტერესა ინჟინერთა საზოგადოების კრებები**) და ხანგრძლივი სჯა-ბაასი გამოიწვია განსაკუთრებით „მუშათა კითხვამ“. აქ მას ბევრი ეკამათა ტყიბულის მადნებში ნა-

*) ქვა-ნახშირის კოქსად გადაკეთება შემდეგ ნაირათ ხდება: დაფშენილ ნახშირს ჩაყრიან თუჯის ქვაბში, სადაც იგი გალხვება და სითხეთ გადაქცეული ჰკარავს ზოგიერთ ურგო ნაწილებს (მაგ. გოგირდს, რომლის სრულიად მოსობა კოქსში ჯერაც ვერ მოუხერხებიათ) და შემდეგ გაცივებისა იღებს დაოთხკუთხებულ, გინდ სხვა სასურველ ფორმას. კოქსი უმთავრესათ სპილენძის სადნობ ქარხნებისათვის იხმარება, როგორც საუკეთესო სათბობი მასალა.

**) ჯერჯერობით ორი იყო. ახლო მომავალში ბუტმი-დე-კაცმანიც, თურმე, აპირებს მოხსენების წაკითხვას ტყვარჩელის ქვა-ნახშირის შესახებ.

მყოფი ინჟინერი ალექსანდროვი. იგი ამტკიცებდა, რომ ტყვარჩელის ქვა-ნახშირის საქმის მოწყობა წარმართვას ძალიან ხელს შეუშლის და უპირველესი დამაბრკოლებელი მიზეზი გახდება მუშათა ხელის სიმცირე ამ მიდამოებში. ტყიბულში, რომელიც უფრო დასახლებულია გარშემო, ყოველთვის „მუშათა საკითხი“ იყო ხელის-შემშლელი იქაური წარმოებისა. იქ სხვა-და სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი მუშები მუდამ ერთმანეთში ჩხუბობდნენ, განხეთქილება ჰქონდათ და იქაური მადნების მმართველობა უღონო იყო, იმათ ერთმანეთში მორიგებას ვერ ვახერხებდით, რაც მუშაობას აბრკოლებდა და სხ. ამიტომ, რომ დავეთანხმეთ კიდევ ლექტორს ტყვარჩელის ქვა-ნახშირის უკეთეს თვისებასა და ამ საქმისათვის დიდის თანხის მოპოვებაზე,—ჩვენ მაინც ამ წარმოების განვითარების იმედი არ გვაქვს, რადგან მუშათა ხელი, მათი სიმცირე საზოგადოთ კავკასიაში და ტყვარჩელის მიდამოებში კერძოთ მეტად ძნელი საგანია ახლათ თავნახენ მრეწველობისათვის, რომლის წარმატებისათვის ასე საჭიროა მისი (მუშა ხელის) სიიაფე...

აი ეს და ამგვარი შთაბეჭდილება გამოუტანია რუსეთის ინჟინერს კავკასიის მადნების წარმოების საქმიდან. ნუ თუ მართალია ყოველივე ეს და ამგვარი აზრები კავკასიის მუშების შესახებ გინდ საზოგადოთ, გინდ კერძოთ ტყიბულისა და ტყვარჩელის შესახებ?! ნუ თუ კავკასიაში თუ კაპიტალისტები არა, მუშა ხელი მაინც აღარ იშოვება და, მაშასადამე, ძვირიცაა?! რა თქმა უნდა, არა და ამის საბუთები მრავალია რუსულ ლიტერატურაშიაც (მაგ., იხ. „Кавк. Вѣстн.“ № 11 და 12 1900 წ. წერილი ტყიბულის შესახებ).

მთელი რაქა-ლენჩუმის და შორაპნის მაზრები ლამის არის ავერ გადასახლების გზას დაადგეს ადგილების სივიწროვის გამო, იყრებიან და თითო-ოროლა თვეობით თოხნიან და ბარ-ნაჯახ მხარზე გადებული დაიარებიან მთელ იმერეთში—შავი ზღვის ნაპირებიდან კასპიის ზღვის პირებამდე, და ამ მოვლენის უცოდინარნი კი გვიმტკიცებენ, რომ კავკასიაში მუშა ხელი არ არის; სამთა-მადნო საქმის დაწყება-განვითარება იქ შეუძლებელი, მოუხერხებელია და თუ რისამე დაწყებას ვავებდავთ, ამისათვის შორს, ძალიან შორიდან უცხო ელემენტს უნდა დავუძახოთ და მოვიხმაროთ. განა ლაპარაკი შეიძლება მუშა ხელის სიმცირეზე იქ, სადაც 12—18 საათის ნამუშევარში ხალხს დღიურათ 20 კაპ. დაწყებული 50—70 კაპ. აძლევენ?! შავი ზღვის ნაპირებზე მათი რიცხვი ხომ აუარებელია და ამ დროს 100—200 ვერსის მანძილიდან მუშა ხელის გამოწერა (როგორც ამას აპირებენ ტყვარჩელის პიონერები), განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, როგორცაა შავი ზღვის ნესტიანი მიდამოები, სადაც გადმოსახლების ცდა არავითარი სანუგეშო ნაყოფი გამოუღია,—დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი საქციელის გამართლება არც თანხის ინტერესების შესაფერი იქნება და არც გონიერი სახელმწიფო ინტერესების. პირველისათვის იგი საზარალოა, რადგან ამას სამუშაო ხელთაის გაძვირება მოჰყვება, ხოლო მეორისათვის არა შესაფერი ბუნების ზეგავლენით, ხალხის ფიზიკურათ დაუძლიერება მოჰყვება. მოსულთათვის, და ისიც რუსეთის ხალხისა, ტყვარჩელის ხრიოკების შეგუება, ახალ, უცხო პირობებში მოწყობა გაცილებით მეტ ხარჯს მოითხოვს, ვინემ ადგილობრივ ბუნებას შეჩვეულ ელემენტს—აფხაზების, მეგრელების და შემდეგ იმერლების სამთა-მადნო სამუშევრებში გაწოვნა-გაკულტურება. რასაკვირველია, თუ მოსული ელემენტი რუსეთის რომელიმე სამთა-მადნო რაიონებიდან (მაგ. დონის აუზიდან, ეკატერინოსლავიდან, კიევიდან და სხ.) იქნებიან, ისინი, როგორც გამოცდილნი, ადგილობრივ ელემენტს აჯობებს მწარმოებლობაში, მხოლოდ სადაც „შახტიური“ სისტემა იქნება მადნების წარმოებისა. ტყვარჩელში-კი, ინჟინრე-

ბის გამოკვლევით, განსაკუთრებით გვირახული სისტემა იქნება მადნებში და ამაში-კი ადგილობრივი მკვიდრი საქმაოთ დახელოვნებულია ტყიბულსა და ქიათურაში მუშაობით. ამასთან ამით სიმარდე და ნიქთან რაიმე ახალი სისტემის, ტენიის საჩქაროთ შეთვისება დღეს ყველასათვის ცხადი და ადვილი საქმეა, თუ-კი ხელმძღვანელი მოვიწიებთ არ იქნებიან გამსჭვალულნი...

შეცდომის გასწორება.

„გვალის“ უკანასკნელ ნომრის სხვა-და-სხვა ამბებში დაბეჭდილია: „განდაცვალებულ კონსტანტინე იაკობის ძე ზურაბიშვილს“, უნდა იყოს: „ზუბალაშვილს“.

რედაქტ.-გამომც. ან. თ. წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

თფილისის კერძო სამაშურნალო.

მკურნალის მ. გედევანიშვილისა
(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ბალეოზონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილით:

- გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
- მანუელ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა-ელექტრონი—9—10 საათ.
- ნ. ს. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა, 11—12.
- ა. ზ. სახლშენიშვილი—კბილის სნეულებანი, 10—2.
- ს. ნ. შატალავა—თვალისა, 11—12 საათ.
- ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა, 11—12.
- დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი, 12—1.
- მ. გ. ბუზინგანავა—შინაგანი და ბავშვებისა, 1—2.
- გ. დ. მარკუციანი—საქირურგო, 12¹/₂—1¹/₂, საათ., სამშაბათობით 3—4.
- ა. დ. ბეგთაბეგავა—სიფილისისა, კანისა და საშარ-დესი—1¹/₂—2 საათ.

ს ა ლ ა მ ო თ ი:

- ა. ნ. თუმანიშვილი—დენათა სნეულებანი, 5—6.
- ს. ა. ბელაგოლავა—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი, 5—6 საათ.

კ ვ ი რ ა ზ ი თ:

- გ. გ. ძაღლაშვილი—შინაგან ავადმყოფ., 10—12.
- სამკურნალოს აქვს სწორი ოთახები. ფასი რჩევა-დარეგებისა 50 კ., რეპარაციები—მფრეგებით. კრატე 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრატე ღარიბთათვის უფასოა.

ბაქოში ქართველთა მიერ შემდგარმა ამხანაგობამ

„ი ვ ე რ ი ა მ“

რომელსაც საგნათ აქვს ნავთის და ყოველგვარი ა-მად-ნეულობის საქმის წარმოება,—უკვე აიღო იგი ნავთიანი მიწა სანავთო ავარაკ „საბუნჩაში“ და ამ მოკლე ხანში აპირებს შეუდგეს ნავთის საწარმოებელ მუშაობას. ამასთანავე, საქმის გასადიდებლათ და მკვიდრ ნიადაგზე დასამყარებლათ, ამხანაგობამ საჭიროთ სცნო, ძირითადი თანხა გაადიღოს და, ამის გამო, გამოსცეს **დამატებითი** პაეტი, თითო პაი 25 (100) მან. ლირებული. გამგენი ამხანაგობისა, ვაუწყებთ-რა ზემოხსენებულს, უმორჩილესათ ვთხოვთ, ვისაც დამატებითი პაის შეძენა მსურს, მოჰმართოს ამხანაგობას შემდეგის აღრესით:

Въ гор. Баку. Князю Юсифу Юлоновичу Дадіани. Въ Контору Торгово-промышленнаго Товарищества „ИВЕРІА“, по Меркурьевской улицѣ, въ домѣ Арафелова.

ამავე ადრესით უნდა გამოგზავნოს ფული.
გამგენი ამხანაგობისა, სამთო ინჟინერი: {
თ. ი. ი. დადიანი
თ. დ. გ. ჯორჯაძე
3. ვ. ბრაილოვსკი.
(5—3)